პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელეფონი 13—30.

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „[illegible]“ და „მეცნიერება და ტექნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ. [illegible] ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—[illegible] კუმენტების დაკარგვა 50 კ. [illegible]

პარასკევი, 18 სექტემბერი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 214 (1369)

დღიური

— ფრანგი მევალეები სთხოვენ მთავრობას დაიწყოს მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობასთან.
— საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია ჩინეთიდან იაპონიაში გაემგზავრა.
— ამხ. ზურაბის და სკლიანსკის [illegible] მოსკოვში გადაგზავნეს.
— ბომბეიში (ინდოეთი) გაფიცულია 45.000 მუშა.

ახალი გზით

ჩვენ საბიუჯეტო წლის მიწურულში ვდგევართ. ხდება განვლილი წლის შეფასება, გადასინჯვა, მომავალი სამეურნეო მუშაობისათვის გეგმის დასახვა.

წარსული წელი აღინიშნა შრომის ნაყოფიერების შეუჩერებელი ზრდით და მრეწველობის აღორძინების სწრაფი განვითარებით. ამ მხრივ უსარგებლოთ არ ჩაუვლია პარტიისა და ხელისუფლების ღონისძიებებს, რომლისთვისაც შრომის ნაყოფიერების ამოცანა ერთ საჭირბოროტო საკითხთაგანს წარმოადგენდა სამეურნეო აღმშენებლობის ფრონტზე.

ამ მხრივ საგულისხმოა სატარიფო ეკონომიურ თათბირზე მოსმენილი ამიერ-კავკასიის ცალკე რესპუბლიკათა პროფსაბჭოების მოხსენებები. ირკვევა, რომ [illegible] ნაყოფიერება სამ რესპუბ[illegible] ფედერაციის ფარგლებში [illegible] აწეულა 25—30 და ზოგჯერ მეტი პროცენტით. ამასთან ერთად საგრძნობლათ შემცირებულია მრეწველობის საქონელზე ზედნართი ხარჯები, რაც მჭიდროთაა დაკავშირებული მრეწველობის ნორმალურ მუშაობის განვითარებასთან და ბაზრის გაფართოება, გამოცოცხლების საკითხთან.

საბჭოთა წყობილების პირობებში მრეწველობის აღორძინება და წინსვლელობა თავისთავად გულისხმობს მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებას. ეს, სხვათა შორის, სოციალისტური მეურნეობის ერთ ნიშანდობლივ თვისებათაგანს წარმოადგენს. ამით განსხვავდება საბჭოთა მეურნეობა ექსპლოატატორულ კაპიტალისტურ მეურნეობისაგან.

პარტია და სახელმწიფოც, როცა ისინი სვამდენ შრომის ნაყოფიერების გაზრდის კითხვას, მის მნიშვნელობას, სხვა უაღრესად დადებით შედეგებთან ერთად, მუშათა კლასის ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესების თვალთახედვის [illegible]ითაც უდგებოდენ.

სხვანაირად არც შეიძლებოდა გაეგოთ ეს ამოცანა. ამ რიგად სოციალისტური დაგროვება, რომელიც შედეგად მოაქვს ჩვენს საერთო მეურნეობრივ ზრდა განვითარებას, ერთ და იმავე დროს ნიშნავს, როგორც პროლეტარიატის ეკონომიურ მდგომარეობის ამაღლებას, ისე საბჭოთა მეურნეობის ძირითად კაპიტალის აღდგენა-გადახალისებას.

და აი, ახალ საბიუჯეტო წელთან ერთად იწყება კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების კამპანია. ცალკე რესპუბლიკების პროფსაბჭოთა სატარიფო განყოფილებების აზრით სამეურნეო ფრონტზე არსებული მიღწევები, უკვე ჰქმნიან შრომის ხელფასის მომატების შესაძლებლობას.

საქართველოში, მაგალითად, პროფსაბჭოს სატარიფო განყოფილების მოხსენების თანახმად, პირველი თანრიგის განაკვეთის მომატება განისაზღვრება 12—20 პროცენტამდე. აზერბეიჯანის პროფსაბჭოს ცნობით ეს მომატება 5 პროცენტით კიდევ უფრო დიდი უნდა დარჩეს, ვიდრე ჩვენში. დაახლოვებით ასეთივე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე სომხეთის ზოგიერთ წარმოებების დარგში.

ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე და ფოსტა-ტელეგრაფის დარგშიაც მოსალოდნელია შრომის ქირის საგრძნობი გადიდება.

ჯერ კიდევ ნაადრევია იმაზე ლაპარაკი, რამდენათ სწორი და უდაოა ეს სურათი, რომელიც გადაიშალა ამიერ-კავკასიის [სა]ტარიფო-ეკონომიურ თათბირზე. საჭიროა ამასთან ერთად მეორე მხარის მოსმენაც, მრეწველობის ხელმძღვანელ ორგანოების აზრი.

მაგრამ, რაც არ უნდა იყვეს, ერთი უდაოა. რომ ეს სურათი დაახლოებით მაინც გამოხატავს იმ მდგომარეობას, რომელიც შექმნილია ჩვენს სამეურნეო ფრონტზე.

ამნაირათ, ჩვენ უკვე შრომის ხელფასის საყოველთაო მომატების შესაძლებლობისაკენ მივდივართ. ეს მეტად საგულისხმო და ყურადსაღები მოვლენაა.

მრავალი სიძნელით დაძლეული ომისგან მიყენებული ტკივილები, დაუზოგველ ენერგიით და მშრომელთა თავდადებით გამაგრებული საბჭოთა მანეთის კურსი, უკვე იძლევა თავის პირველ ნაყოფს.

ორი კვირის წინათ, როცა ჩვენი რესპუბლიკების საზღვრებს სტოვებდა გერმანიის მუშათა დელეგაცია, მათ განაცხადეს, რომ საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობა ბევრათ არ ჩამოუვარდება გერმანიის მუშათა კლასის ნივთიერ პირობებს, რომელთაც კისრად ადევს ორმაგი ექსპლოატაციის უღელი დაუესის გეგმის მეოხებით.

ჩვენი შეუჩერებელი ეკონომიური წინსვლა, განსაკუთრებით კი წლევანდელი მდიდარი მოსავალი, რომელიც საფუძვლად დაედება საბჭოთა მეურნეობის აყვავება-განვითარებას, კიდევ უფრო მეტ გარანტიებს მოგვცემს მუშათა კლასის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. არც ისე შორსაა ის დრო, როცა ფართე სოციალისტურ აღმშენებლობის გზაზე გამოსული საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი, გაუთანასწორდება თავის ნივთიერ მდგომარეობით კაპიტალისტურ ქვეყნების მუშათა კლასს.

ჩვენ წინ მივდივართ ეკონომიურათ. ჯერ კიდევ ბევრი დაბრკოლებების გადალახვა შეგვხვდება. მაგრამ მნიშვნელოვანი სიძნელენი დაძლეულია.

საბჭოთა კავშირის ეკონომიური ზრდა მტკიცე ნიადაგს უყრის ჩვენი მშრომელ მასების, როგორც უფლებრივ მონაპოვართა განმტკიცებას, ისე მათ ძველი დროიდან ნაანდერძევ ეკონომიურ სიღარიბიდან თავის დაღწევას.

სამეურნეო ფრონტზე ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი ჩვენ გვაახლოვებს აგრეთვე საერთაშორისო პროლეტარიატის საბოლოო განთავისუფლებასთანაც.

ჩაის კულტურისათვის

ჩვენ სასოფლო მეურნეობაში მევენახეობა, მეთამბაქოობა, მებრეშუმეობა, მეხილეობა, მებამბეობასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს ჩაის კულტურას.

ჩაქვის ჩაი თავის ღირსებით მაღლა სდგას ჩინეთის საშუალოზე უფრო მაღალს და ცეილონის ჩაის უმაღლეს ხარისხის ჩაიებზე.

ჩაქვის ჩაის სახელი მაშინ დაეკარგა, როცა მისი ხარისხი შელახეს შეუსაბამო შერევით და აგრეთვე, როცა მისი სახელით მოცვის ჩაის ასაღებდენ. ამის შემდეგ მომხმარებელი დაშინდა და ჩაქვის ჩაის აღარ ენდობა, რადგან მისი სახელის ქვეშ მოცვის ჩაის ჰგულისხმობს.

საქართველოს საპაიო ამხანაგობის ცდამ, რომ გაევრცელებინა ჩაქვის ჩაი ხარისხის საუკეთესო შერჩევით ცოტაოდენი ნაყოფი გამოიღო და გაზარდა მომხმარებელთა რიცხვი.

ჩაქვის ჩაის გავრცელებას აგრეთვე ხელი შეუწყო შინა ვაჭრობის კომისარიატის დადგენილებამ დაკლებულ ფასებში ჩაის გაყიდვის შესახებ. (დადგ. № 19 ნოემბრის 17, 1925 წ.)

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩაქვის ჩაის გავრცელებას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ ომის დროს საქართველოში ვრცელდებოდა ინგლისური მარკის ჩაი, რომელმაც დაიკავა ბაზარი.

ჩაის კულტურას საქართველოში 30 წლის ისტორია აქვს. ამ საქმისთვის რუსის მოვაჭრის პოპოვის მოწვევით, საქართველოში ჩამოვიდა ჩინელი ლაუ-ჯონ-ჯაუ და თან ჩამოიყვანა 9 ჩინელი, რომელთაც თან წამოიღეს რამდენიმე ათი ათასეული ორიგინალური ჩაის ძირეული და რამდენიმე ასეული ფუთი ჩაის თესლი.

ამის შემდეგ ჩაის კულტურა საქართველოში ისე წინ წავიდა, რომ 1900 წ. მსოფლიო გამოფენაზე პარიზში, საქართველოს ჩაიმ მიიღო ოქროს მედალი წარწერით: „მსოფლიოში საუკეთესო ჩაისთვის“.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ წელს გამოფენაზე არ ყოფილა ჩინეთის ჩაი. ჩვენმა ჩაიმ კი ცეილონის ჩაის აჯობა.

შემდეგ ხანებში,—ჯერ პირველმა რევოლიუციამ, მერე მსოფლიო და სამოქალაქო ომებმა,—ჩაის განვითარების საქმეს თავისი დაღი დაამჩნიეს და შეასუსტეს. როგორც ვსთქვი, ბაზარი დაიკავა ინგლისურმა ჩაიმ და აგრეთვე ჩაქვის ჩაის სახელით ბაზარზე გამოჩნდათ მოცვის ჩაი.

ამნაირად დაეცა ჩაქვის ჩაის პრესტიჟი.

ბათომის მიდამოს ჰავა სავსებით ხელსაყრელია ამ კულტურისათვის.

მთელი სივრცე, რომელზედაც შეიძლება ჩვენში ჩაის მოყვანა, ზოგის გამოანგარიშებით უდრის 60—70 ათასი დესეტინას. ზოგის კი 40 დესეტინას.

უკანასკნელი ციფრიც რომ სინამდვილეს შეეფერებოდეს მაშინაც ჩვენ მივიღებთ 3 ან 4 მილიონი გირვანქა გამხმარ ჩაის წელიწადში. ამაში არ შედის, რასაკვირველია სულ დაბალი ხარისხის, ეგრეთწოდებული „აგურის“ ჩაი.

ბოლო ხანში საბჭოთა ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ჩაის კულტურას საქართველოში.

გამოტანილია დადგენილება საქართველოს ჩაის აქციონერული საზოგადოების შედგენისა.

ეს დადგენილება შრომისა და თავდაცვის საბჭომ ხელმეორედ დაამტკიცა თავის ამა წლის 27 აგვისტოს სხდომაზე. საზოგადოების დამფუძნებელნი არიან: რუსეთისა, საქართველოსი, აჭარისტანის და აფხაზეთის უმაღლესი სამეურნეო საბჭოები და მიწათ მოქმედების კომისარიატები, ა/კავ-სიის სასოფლო-სამეურნეო ბანკი და ა/კ. კოოპერაცია, რომელთაც წინადადება ეძლევათ დაუყოვნებლივ გამოიმუშაონ საზოგადოების წესდება და მოიწვიონ დამფუძნებელი კრება.

საქციონერო საზოგადოების დაარსებით ჩაის კულტურის საქმე ჩვენში ჩქარი ტემპით წავა რასაკვირველია, ხოლო საზოგადოებამ თავიდანვე უნდა დაისვას მიზნათ არა მხოლოთ ვაჭრობა ჩაით, არამედ მისი კულტურული დამზადების საშუალებათა აღორძინება.

მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ ჩაის წარმოება ჩვენში ფერხდება სადგურებისა და სკოლების უქონლობის გამო. არსებული ქარხნები უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან.

ამ ჟამათ მხოლოთ ორი ქარხანაა მთელ საჩაიე რაიონში. ცხადია ეს ორი ქარხანა ვერ აუვა მთელ სამუშაოს. ამიტომაც არის, რომ მრავალი წვრილმანი პლანტატორები ჩაის ამუშავებენ პრიმიტიული შინამრეწველობითი საშუალებით და საქმის უცოდინარობით, გამოუცდელობით, მოუმზადებლობით სახელს უტეხავენ ჩაქვის ჩაის.

ჩაის სკოლა ფაბრიკასთან უნდა ამზადებდეს პლანტატორებს და განსაკუთრებით ყურადღებას უნდა აქცევდეს ჩაის დამზადებას შინამრეწველობის საშუალებით.

საქციონერო საზოგადოება ყოველივე ამას, რასაკვირველია, ყურადღებას მიაქცევს. იგი შემოიტანს ხელის მანქანებს დასარიგებლათ და ღუმელებს ჩაის გასახმობათ.

ყოველი წარმოება წინ მიდის ტეხნიკის მხრივ. ცხადია ინდოეთში და ჩინეთში უკვე შემოღებულია ახალი მანქანები, რომელნიც ჩვენ არ მოგვეპოვება. ამიტომ საჭირო იქნებოდა რამდენიმე პირის გაგზავნა ამ საქმის შესასწავლათ.

ჩაის წარმოებამ უნდა დაიკავოს უსათუოდ ერთი პირველ ადგილთაგანი ჩვენ სამეურნეო წარმოებაში.

ჩაის შერევის (კუპაჟ) ცდა უკვე იყო ჩვენს რესპუბლიკაში. ერთი ამ წლის იანვრის პირველ რიცხვებში ბირჟასთან, სადაც მოხდა გემოს გასინჯვა სხვადასხვა ფირმის ჩაიებისა და მეორე შინავაჭრობის მიერ დანიშნულ კომისიის მიერ 18 აგვისტოს. კომისიაში შედიოდენ წარმომადგენლები: შინავაჭრობის კომისარიატისა, მიწათ-მოქმედების კომისარიატისა, ზაკგოსტორგისა, ზაკსოიუზისა და ცეკავშირისა. აგრეთვე დაესწრენ სპეციალისტები.

კომისიამ გამოარკვია, რომ ჩვენი უმაღლესი ხარისხის ჩაი, სავსებით ედრება საზღვარ-გარეთის, ინგლისის კლასიფიკაციის „Pekoe“-ს ჩაის გემოვნებას.

საკმარისია ჩაქვის ჩაის ორი მესამედი შეურიოთ ხსენებულ საზღვარ-გარეთის მესამედს და ჩვენ მივიღებთ საუკეთესო ხარისხის ჩაის, როგორც გემოთი, აგრეთვე არომატით.

შავი ზღვის სანაპირო, სხვა და სხვა სიმაღლეზე წარმოადგენს შესაფერ ნიადაგს ჩინეთის, ინდოეთის და ცეილონის ჩაისთვის და ჩვენი ჩაიც წარმოსდგება ამ ასორტიმენტებისაგან; არის ადგილობრივიც. თუმცა მოზიდულმა პლანტაციებმა ამ ჟამად თავისი სპეციფიური თვისებები დაკარგეს. მაგრამ ჩვენი ქვეყანა მათთვის მეორე სამშობლო აღმოჩნდა.

ჩაის გასაუმჯობესებლად უნდა მოხდეს სხვადასხვა ბუჩქების შერჩევა და მისი დარგვა სხვადასხვა ადგილას. უნდა გამოკვლეულ იქნას ხასიათი ყოველი ბუჩქისა, შესწავლილ იქნას—რა სიმაღლეზე დაირგოს ძირი, რა სიშორეზე და სხვა.

ყოველი ამისთვის საჭიროა ჩვენ გვყოლოდა განსწავლილი და დახელოვნებული სპეციალისტები. საჭიროა გადაითარგმნოს და გამოიცეს, როგორც სპეციალური მეცნიერული აგრეთვე ხალხური წიგნაკები ჩაის კულტურის შესახებ. საჭიროა ფაბრიკასთან დაარსდეს ქიმიური ლაბორატორია, რომ გამოკვლეულ იქნას ხარისხი ამა თუ იმ ჩაისა.

ჩვენი მიზანი უნდა იყვეს, რომ მშრომელმა გლეხობამ შეისწავლოს ჩაის მოვლა-წარმოება. ჩვენი ჩაის საქმის მომავალი გლეხის ხელშია.

დ. ს—ძე.

როგორ ატყუებს მუშებს სოციალ-დემოკრატია

გერმანიის სოც.-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე

15 სექტემბრის სხდომაზე „მემარცხენეები“ „სასტიკად“ ილაშქრებენ ც. კ. წინააღმდეგ

16 სექტემბრის სხდომაზე კი მათ ხმა მისცეს რეზოლიუციას, რომელიც იწონებს ც. კ. ხაზს

მაიდენბურგი, 16 სექტემბ. პრეზიდიუმ[illegible] მოხსენების გამო გამართულ კამათის დროს [illegible] სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე ფრანკფურტის დელეგატმა შენტინგმა აღნიშნა, რომ მოისპო [illegible] სოციალ-დემოკრატიულ [illegible] რება იმის გამო, [illegible] ზედაფენები ზევიდან უცქერ[illegible] სოციალ-დემოკრატიულ ახალგაზრდობას.

შემდეგ შეიდემანი შეეცადა დაემტკიცებია, რომ კლასთა ბრძოლა გერმანიაში სწარმოებს ამ ჟამად უფრო ენერგიულად, ვიდრე წინად. შეიდემანი ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, თითქოს კავშირი მასებთან მოსპობილი იყოს და იცავს პარტიის პრეზიდიუმებს და ბარმატის საქმეში მონაწილე პირებს.

გერმან მიულერი და სხვა ორატორები იცავენ პრეზიდიუმის ხაზს მემარცხენეების თავდასხმისაგან.

უმრავლესობასთან შეტაკება განახლდა ბარმატის საქმესთან დაკავშირებულ სკანდალის განხილვის დროს. საქსონიის და ტიურინგიის დელეგატებმა მოითხოვეს პარტიის მორალურ სიწმინდის აღდგენა. კელნის დელეგაციის წინადადება იმის შესახებ, რომ სოციალ-დემოკრატებმა არ უნდა დაიკავონ სამრეწველო და საბანკო წარმოებათა გამგეობის წევრების თანამდებობა, მიღებული იქნა პრეზიდიუმის რედაქციით. ამ წინადადების თანახმად აღნიშნულ წარმოებათა გამგეობაში მონაწილეობა ყოველ ცალკე შემთხვევაში უნდა იქნას დალასტურებული სათანადო სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის მიერ.

საბოლოო სიტყვაში პრეზიდიუმის მომხსენებელი შტელინგი განმეორებით თავს ესხმის ყრილობის მემარცხენე ნაწილს.

ფრანკფურტის დელეგატის [illegible] განცხადების გამო, რომ წითელი [illegible]თვის პასუხისმგებლობას გრძნობს უფრო [illegible] ვიდრე რესპუბლიკის დროშისთვის პასუხისმგებლობის [illegible],—შტელინგი ამბობს: [illegible] პირველ რიგში [illegible] რესპუბლიკის [illegible] რომელსაც ოდესმე შეიძლება შეურთოთ წითელი ალამიც“.

შტელინგი ასახელებს მთელ რიგ რეპრესიულ ღონისძიებებს, რომელიც მიმართული იქნება საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულ მუშათა დელეგაციის მონაწილე ს.-დ. წინააღმდეგ, რომლებმაც მოხსენება გააკეთეს თავიანთი მოგზაურობის შესახებ.

შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული რეზოლიუცია, რომელიც იწონებს პარტიის პრეზიდიუმის პოლიტიკას, რაც ამტკიცებს, რომ ოპოზიციის გამოსვლები მხოლოდ კომედია იყო.

„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი, 17 სექტ. მოწინავე წერილში: „გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ყრილობა“ „პრავდა“ სწერს:

„გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ყრილობა ჯამს უკეთებს თავის ხელმძღვანელების და მთელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის „სახელოვან“ საპატიო მოღვაწეობას. სურათი საკმაოდ უნუგეშოა: ბურჟუაზიამ ხელისუფლებას ჩამოაშორა სოციალ-დემოკრატია და სავსებით ხელში ჩაიგდო მართვა-გამგეობის ხელმძღვანელობა.

სოციალ-დემოკრატების ბელადები სცდილობენ ამოეფარონ ოპოზიციას, მზად არიან სთქვან ორიოდე მყვირალა ფრაზა, მაგრამ გახრწნამ გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ზედაფენებს შორის მიაღწია ისეთ დონეს, რომ მას ვერ შეუძლია სხვა პოლიტიკის წარმოება, გარდა ბურჟუაზიის სამსახურის და მისი ბრძანებების ასრულებისა.

ამას მუშები [illegible] გრძნობენ სოციალ-დემოკრატიის ქვედაფენებში [illegible] მასა, რომელიც ჯერ კიდევ მისდევს სოც.-დემოკრატიას. სწორედ ეს მასები იწყებენ იმის შეგნებას, თუ ვინ არის დამნაშავე იმაში, რომ გერმანიის მუშათა კლასმა ხელიდან გაუშვა ის, რაც ჰქონდა და ვერ მიიპოვა ვერაფერი, გარდა დამცირებისა და გალატაკებისა.

და შორს არ არის ის მომენტი, როდესაც ისინი აშკარად შეიგნებენ, რომ დამნაშავე მათ უნდა ეძებონ თავისი პარტიის ზედა-ფენებში.

საერთო უკმაყოფილების გრძნობა ნაწილობრივ უკვე გამოაშკარავდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ყრილობაზე ოპოზიციის გამოსვლების სახით. ოპოზიციის წარმომადგენლებმა სასტიკად გააკრიტიკეს პარტიის ხელმძღვანელი ზედაფენები მაგრამ ეს ოპოზიციაც ბოლოს და ბოლოს აღმოჩნდა მხოლოდ ცალიერი ლაყბობა, მხოლოდ ქვედა ფენების უკმაყოფილების სიმპტომი. **საქმით ოპოზიციის ამ წარმომადგენელმა ვერ გადასდგეს ვერც ერთი გაბედული ნაბიჯი და ხმა მისცეს უმრავლესობასთან ერთად.** მაგრამ, შესაძლოა, თავისი სურვილის წინააღმდეგ, ოპოზიციის წარმომადგენლებმა მაინც გამოხატეს ის განწყობილება, რომელიც პარტიის ქვედაფენებშია. ბიუროკრატიული ზედაფენებში, ეჭვს გარეშეა, მიიღებენ ზომებს ამის წინააღმდეგ, მაგრამ ეს მხოლოდ დააჩქარებს მოვლენათა განვითარებას.

ყოველი სინდისიერი გერმანელი მუშა შეიგნებს, რომ დრო დადგა ნამდვილ რევოლუციონურ ბრძოლის გზას“.

ურთიერთობა საფრანგეთთან

მოლაპარაკება ვალების შესახებ

მოსკოვი, 17 სექტ. საბჭოთა კავშირის ექსპერტთა დელეგაციის თავმჯდომარემ საფრანგეთში პრეობრაჟენსკიმ საბჭ. კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს ვალების გარშემო გამართულ მოლაპარაკების შესახებ სთქვა: „რუსეთის ფასიან ქაღალდების შეკავშირებული მეპატრონეები აჩქარებენ თავიანთ მთავრობას გამართოს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან. მოლაპარაკებას ყველაზე მეტად აფერხებს საფრანგეთის საერთო გაურკვევლობა ჩვენი შინაური მდგომარეობასთან, ინგლისის ზეგავლენა საფრანგეთის მთავრობასა და საზოგადოებრივ აზრზე და ვრანგელის მიერ გატაცებული გემების დაუბრუნებლობა.

საბჭოთა ექსპერტთა კომისიამ შეასრულა დიდი მუშაობა საფრანგეთში ჩვენი აქტივების გამოსარკვევად. ჩვენ დავრწმუნდით, რომ ჩვენში ნაციონალიზაციაქმნილი ბანკების განყოფილებები გაუქმდენ და არსებობდენ სხვა სახელწოდებით, ამასთანავე ამ განყოფილებების თანხები გადატანილი ყოფილა სხვა იურიდიულ პირებზე.

ჩვენი ვაჭრობა საფრანგეთში წარმატებით მიმდინარეობს. საფრანგეთთან სავაჭრო ურთიერთობის განახლების შემდეგ მთელმა ბრუნვამ მიაღწია 150 მილიონ მანეთამდე. ამ ბრუნვის უდიდეს ნაწილს შეადგენს საფრანგეთის მიერ ჩვენგან შეძენილი საქონელი. რაც შეეხება საფრანგეთის ექსპორტს, უკანასკნელი შეფერხებულია კრედიტის უქონლობის გამო.

რეაქციის თარეში

სოფიაში დამთავრდა სტუდენტების პროცესი

სტუდენტ ფიორგიევს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს

12 სექტ. სოფიაში დაიწყო კომუნისტ-ჟურნალისტების გასამართლება

უნგრეთში გააძლიერეს დამოუკიდებელი სოციალისტური პარტიის დევნა

ბულგარეთი

პროცესი

ვენა. 16 სექტემბერი. სოფიაში დამთავრდა ბულგარეთის სტუდენტთა პროცესი. [illegible] ედებოდათ სოფიის უნივერსიტეტში არალეგალურ უჯრედების მოწყობა.

კომუნისტ-ჟურნალისტების გასამართლება.

ვენა. 16 სექტ მბერს. 12 სექტემბერს სოფიაში დაიწყო პოპლოვის, მოლოხოვის, ხვოსტოვის და [illegible] პროცესი, რომლებსაც უკვე ორჯერ მიუსაჯეს ციხეში დაპატიმრება დიდი ხნით. ბრალდებულებს მიაწერენ ჟურნალისტების არალეგალურ კომუნისტურ ჯგუფის მოწყობას.

სასამართლოში პავლოვმა განაცხადა, რომ ის რედაქტორობდა სხვადასხვა ლეგალურ მუშურ გაზეთებს და არ მალავს, რომ კომუნისტია.

რუმინეთი

მეფის მოგზაურობა.

ვენა. 16 სექტემბერი. კიშინიოვში ადგილობრივი გამოფენის დასათვალიერებლად ჩავიდა რუმინეთის მეფე. ქუჩები გაკავებული ჰქონდათ ჯარისკაცებს, მიმოსვლა აკრძალული იყო.

გალიციაში, სადაც გაიარა მეფის მატარებელმა, კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი ავრცელებდა მოწოდებებს, რომელიც მოითხოვს მემამულეთა და ბურჟუების ქონების ჩამორთმევას და დაპატიმრებულ მუშების განთავისუფლებას. აკრძალეს საპროტესტო კრება, რომელიც უნდა გაემართათ გალიციის პროფკავშირებს.

უნგრეთი

სოციალისტურ მუშათა პარტიის დევნა.

ვენა. 16 სექტემბერი. სოციალ-დემოკრატების კრებაზე ბუდა-პეშტში [illegible] ახალი სოციალისტურ მუშათა პარტიის მრავალი მიმდევარი, რომლებიც [illegible] პროკლამაციებს მუშათა პარტიის [illegible] რიბულ ბელადების განთავისუფლების სასარგებლოთ. პოლიციის ბარიერებს აღფრთოვანებით შეხვდენ სოციალ-დემოკრატები.

სოციალისტურ მუშათა პარტიის დევნა გაძლიერდა. დაპატიმრებულია 5 კაცი, მათ შორის მუშათა პარტიის პრეზიდიუმის 2 წევრი. მუშათა [illegible] კრება აკრძალულ იქნა. პოლიციამ [illegible] ცნობა თითქოს მუშათა პარტია ამზადებდა ახალ დემონსტრაციებს საზღვარ-გარეთიდან მიღებულ დირექტივებით და მას განზრახული ჰქონდა ფართო კამპანიის წარმოება.

ბესარაბიელ გლეხების „გასამართლება“

ვენა, 16 სექტემბერი. რუმინეთის რადიკალურმა გაზეთმა „ფაკლა“-მ გამოაქვეყნა დაწვრილებითი ცნობები იმ საშინელი წამების შესახებ რომელსაც მიმართავდენ სამხრეთ-ბესარაბიის აჯანყებულ გლეხების დაპატიმრების დროს.

აჯანყების ჩაქრობის შემდეგ მცხოვრებლებს დაადეს სამხედრო კონტრიბუცია და გადაუწვეს მეურნეობა.

სოფელ ვალჩიორში ჟანდარმებმა დახვრიტეს 120 აჯანყებული. სოფელ ტატარბუნარის მღვდელმა დასტყუა დაპატიმრებულ გლეხების ცოლებს ფულები: აღუთქვა დახმარება. ეს „დახმარება“ გამოიხატა იმაში, რომ დაპატიმრებულთა ცოლებს ქმრების თვალწინ აუპატიურებდენ ჟანდარმები. არც ერთი ქალიშვილი, 10 წლის ზევით, არ გადარჩენია ამ ხვედრს. საშინელი ცემის გამო ციხეში გარდაიცვალა 4 ბრალდებული, რომელთაგან ერთმა ველარ გაუძლო სასტიკ წამებას და თავი ჩამოიხრჩო. დიმიტრი ჩინგა, რომელიც გარდაიცვალა პროცესის დაწყების წინ, გახდა მსხვერპლი საშინელი წამების.

აჯანყების ჩაქრობის შემდეგ დაპატიმრებულებს ტატარბუნარის ციხეში უნდა ეხადათ ერთი ქიქა წყალისთვის 1,000 ლეი; იმათ კი, რომელთაც არ შეეძლო ფულის გადახდა, ძალით უსხამდენ პირში წყალს სანამ ისინი არ დაიღრჩობოდენ. ასე აწამეს სამი დაპატიმრებული.

პროცესზე ბრალდებულები იძულებული იყვნენ 7 საათის განმავლობაში ფეხზე მდგარიყვნენ ციხის ეზოში. საჭმელი, რომელსაც ღებულობენ ბრალდებულები, არ იჭმევა.

გაზეთი იტყობინება, რომ მიუხედავად ასეთი წამებისა, ბრალდებულებს მხნეთ უჭირავთ თავი.

გლეხთა პარტიის ორგანო „ავრორა“ მოითხოვს ამნისტიას ბრალდებულთათვის, რომელთა შორის ბევრია მცირეწლოვანი.

ვექილ ტარიეს ნება მისცეს ჩავიდეს კიშინიოვში

ვენა, 16 სექტემბერი. რუმინელ ვექილების ზეგავლენით ბუქარესტის შინაგან საქმეთა სამინისტრომ ნება მისცა ფრანგ ვექილს ტარიეს ჩავიდეს კიშინიოვში. 30

საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია იაპონიაში

მოსკოვი, 17 სექტ. საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია ლეპსეს მეთაურობით, რომელიც ამჟამად ჩინეთში იმყოფება, იაპონიის პროფკავშირთა მიერ მიპატიჟებით მიემგზავრება ოსაკაში.

ჩერჩილის განცხადება

ლონდონი, 16 სექტემბერი. ინგლისის ფინანსთა მინისტრმა ჩერჩილმა ბირმინგამში წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ „მოსკოვის პროპაგანდისტებმა ინგლისის იმპერია აირჩიეს თავიანთ ზრახვების მთავარ ობიექტად“.

ჩერჩილი აღნიშნავს, რომ ინგლისის მთავრობა ამჟამად ადგია „ღირსეულ საღ აზრს“ და ზომიერებას ყოველგვარი ანტი-კონსტიტუციონური მუშაობის მიმართ. მთავრობამ გადასწყვიტა აიღოს შემარიგებელი საშუალო კურსი, რათა უზრუნველჰყოს საერთო აღორძინება არა მარტო საერთაშორისო პოლიტიკის და ეკონომიკის სფეროში, არამედ აგრეთვე ინგლისის შინაური ცხოვრების დარგშიაც.

საგარანტიო ხელშეკრულების გარშემო

კონფერენცია საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ და იტალია.

პარიზი, 16 სექტემბ. ჟენევიდან მიღებული ცნობით, იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა გრანდიმ ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ იტალია მონაწილეობას მიიღებს გარეშე საქმეთა მინისტრების მოლაპარაკებაში საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ. კონფერენციას დაესწრება მუსოლინი.

[illegible]

რას მივაღწიეთ და რაა გასაკეთებელი

ამხ. პ. ბოგდანოვი (რ. ს. ფ. ს. რ.-ის სახ. მეურ. უმ. საბჭოს თავჯდომარე) „რაბოჩაია გაზეტა“-ში ჯამს უკეთებს შრომის ნაყოფიერების ასაწევად წარმოებულ ერთი წლის კამპანიას.

სასოფლო მეურნეობის სწრაფი აღორძინების ნიადაგზე საგრძნობლად გაიზარდა გლეხობის სყიდვითი უნარი. ამის მიხედვით მრეწველობის წინაშე წამოიჭრა ამოცანა სრულიად დაეკმაყოფილებია გლეხობის მოთხოვნილება სასოფლო-სამეურნეო ინვენტარზე და ფართე მოხმარების საგნებზე. უნდა მიგვეღო ყოველგვარი ზომა მრეწველობის განსავითარებლად. 1923 წლის ბოლოს და 1924 წლის დასაწყისში ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების ნაყოფიერება მეტად მცირე იყო და ამიტომ, პირველ ხანებში ჩვენს ამოცანას შეადგენდა უწინარეს ყოვლისა, მათი სრული გამოყენება, ე. ი. საკითხი შეეხებოდა შრომის ნაყოფიერების გადიდებას.

„ამ მხრივ მუშებს შორის წარმოებულმა კამპანიამ, რომლის დაწყებიდან გავიდა ერთი წელი,—სწერს ამხ. ბოგდანოვი,—მეტად მნიშვნელოვანი ნაყოფი გამოიღო და, ჯამს უკეთებს რა ამას მიმდინარე საოპერაციო წლის დასასრულისათვის, ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ რესპუბლიკის მუშათა კლასმა, პასუხისმგებლობის სრული შეგნებით, რომელიც აწევს მას წარმოების ორგანიზაციის საქმეში, მოიკრიბა ყველაფერი თავისი მრეწველობის აღორძინებლად.

თუ ავიღებთ ციფრებს, ნაყოფიერება ერთი წლის განმავლობაში—1924 წლის მარტიდან 1925 წლის მარტამდე—გაიზარდა 76 პროცენტით. ეს რაც შეეხება მთელ მრეწველობას ერთად აღებულს, ხოლო მისი ცალკე დარგებისათვის ეს ზრდა უფრო მეტია. მაგ., ქიმიურ მრეწველობაში იგი შეადგენს 89 პროც., [illegible] მრეწველობაში—88 პროც.“.

მაგრამ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ შრომის ნაყოფიერება დამოკიდებულია ორ გარემოებაზე: თვითეული მომუშავის შრომის ინტენსივობაზე და თვით ფაბრიკა-ქარხნების მოწყობილობის ნაყოფიერების აწევაზე. მუშის შრომის ინტენსივობამ მაღალ დონეს მიაღწია და შემდეგში ჩვენ უმთავრესი ყურადღება უნდა მივაპყრათ მანქანების ნაყოფიერების გადიდებას, წარმოების რაციონალიზაციას.

„ამ დარგში,—განაგრძობს ამხ. ბოგდანოვი,—ჯერ ბევრი რამ არ არის გაკეთებული, მაგრამ ამოცანა სისწორითაა დაყენებული, და ამა წლის ბიუჯეტითაც, აგრეთვე ცალკე ტრესტების ხარჯთ-აღრიცხვებითაც, გადადებულია საკმაოდ დიდი თანხები, როგორც თანამედროვე ტეხნიკის მიხედვით ახალი ფაბრიკა-ქარხნების ასაშენებლად, ისე არსებულ ფაბრიკა-ქარხნების მოწყობილობის გასაუმჯობესებლად.

გარდა ამისა, უნდა იქნას ჩატარებული ფართე კამპანია თვით წარმოების შინაგანი ორგანიზაციის შესაცვლელად, ე. წ. შრომის მეცნიერული ორგანიზაციის შემოსაღებად“.

რა თქმა უნდა, მთელი ეს მუშაობა ერთბაშად ვერ გამოიღებს თვალსაჩინო ნაყოფს, ამისათვის საჭიროა ერთგვარი დრო, მაგრამ სამაგიეროდ შედეგს მოგვცემს მეტად მნიშვნელოვანს, შრომის ნაყოფიერება აიწევს რამოდენიმეჯერ უფრო მაღლა დღევანდელთან შედარებით.

მუშათა ფართე მასსების ჩაბმა ამ კამპანიაში, სპეციალისტების მონაწილეობა, სათანადო ორგანოების ღონისძიებანი, ამ საქმისათვის გაღებულ საშუალებათა სიდიდე—საწინდარია, რომ დასახულ ამოცანას განვახორციელებთ.

ბრძოლა იმპერიალისტების წინააღმდეგ

სირიაში დრუზების აჯანყება ფართე ხასიათს იღებს

ციხე-სიმაგრეები კელა და სუეიდა ალყაშემორტყმულია აჯანყებულების მიერ

ეგვიპტის ხალხი აჯანყებულ დრუზებს უჭერს მხარს

ომი მაროკოში

ადგილობრივ ტომებს შორის

პარიზი, 16 სექტემბერი. „ჰავასის“ სააგენტოს წარმომადგენელი ფეციდან უწყება, რომ ისრაულის სექტორში წარმოებულ ოპერაციების შემდეგ 1.650 ოჯახმა ტაფრანის და ტერეალის ტომებიდან მორჩილება გამოაცხადა. მიუხედავად რიფების მხრივ ზეგავლენისა, ბრანების ტომიდან მრავალი ოჯახები აცხადებენ მორჩილებას.

ესპანელების ოპერაციები

პარიზი, 16 სექტემბერი. „ჰავასის“ სააგენტოს ატყობინებენ მადრიდიდან, რომ ოფიციალური ცნობების თანახმად, საბადილიეში დესანტის გადასხმა და სურსათ-სანოვაგის გადასაზიდი ოპერაციები რომელიც შეფერხდა ცუდი ამინდის გამო, ისევ განახლდა და ხელსაყრელ პირობებში სწარმოებს.

გენერალი პუეილია ფრონტზე მიემგზავრება იმ მიზნით, რათა [illegible]ბაროს ყველაზე ძლიერი რაზმის სარდლობა მტრისათვის წინააღმდეგობის გასაწევად.

აეროპლანები ყუმბარებს უშენენ ალხუსემასის ყურეს.

აჯანყება სირიაში

დრუზების აჯანყება ფართოვდება

ალექსანდრია, 16 სექტემბერი. დრუზების აჯანყება სირიაში გრძელდება. ციხე-სიმაგრეები კელა და სუეიდა, რომლებშიაც 400-ზე მეტი ფრანგია ისევ ალყაშემორტყმულია დრუზების მიერ.

დრუზებმა ჩამოაგდეს 12 აეროპლანი, რომლებიც სურსათ-სანოვაგეს აწვდიდენ ციხე-სიმაგრეებს.

ფრანგების დამხმარე ძალები იხევენ ჯებელ-დრუზას საზღვრისაკენ. ფრანგები ამზადებენ ფართო შეტევას აჯანყების ერთბაშად ჩასაქრობათ. ბეირუტში ჩავიდენ სენეგალის და მაროკოს ჯარების ახალი რაზმები. სირიის ჯარების გაყვანა დრუზების წინააღმდეგ არ მოხერხდა, რადგან **სირიელები უარს ამბობენ დრუზებთან ბრძოლაზე და გადადიან მეამბოხეთა მხარეზე.**

300 სირიელმა ჯარისკაცმა, რომლებიც დრუზებმა ტყვედ წაიყვანეს, განაცხადეს, რომ მათ ურჩევნიათ მთელი თვეობით წყლით და პურით ირჩინონ თავი, ვიდრე დაბრუნდენ ფრანგ-ჯალათებთან.

ეგვიპტელები მხარს უჭერენ სირიის მეამბოხეებს.

ალექსანდრია, 16 სექტემბერი მეამბოხეთა მოძრაობამ სირიაში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ეგვიპტეში. ადგილობრივი [illegible] განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სირიის ამბებს. მოსახლეობა დიდ ინტერესს იჩენს დრუზების აჯანყებისადმი. სირიაში მომხდარ აჯანყების სასარგებლოდ გამართულ კამპანიის უკავშირებენ კამპანიას აბდ-ელ-ქერიმის სასარგებლოდ.

ვინ არიან არაბების მტრები

გუსეინ-ჰეჯასელი ინგლისელების და ფრანგების წინააღმდეგ.

პარიზი, 16 სექტემბერი. ჰეჯასის ყოფილმა მეფემ გუსეინმა განაცხადა, რომ, როგორც ის დარწმუნდა, არაბების უდიდეს მტრებს, რომელთა წინააღმდეგ საჭიროა გაბედული ბრძოლის წარმოება, წარმოადგენენ ინგლისელები და ფრანგები.

გუსეინმა გამოსთქვა იმედი, რომ არაბები შეიგნებენ თავიანთ უბედურებას და მოახერხებენ იმპერიალისტურ სახელმწიფოების განდევნას არაბეთის ნახევარ-კუნძულიდან.

ფრანგების ოპერაციები

პარიზი, 16 სექტემბერი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს ბიბონის მთაგრეხილი.

გომინდანის ჯარები და ჩჟან-ცზო-ლინი

ლონდონი, 16 სექტემბერი. „დეილი ტელეგრაფ“-ის ჩინელი კორესპონდენტის აზრით, მოსალოდნელია რომ, შან-სის პროვინცია ხელში ჩაიგდონ გომინდანის ჯარებმა.

„შან-სის გუბერნატორს სი-შანს,—სწერს კორესპონდენტი ჰყავს, მხოლოდ 30,000 ჯარის კაცი, მაშინ, როცა მის წინააღმდეგ [illegible]ლი გომინდანის მიერ და [illegible] მიის ჯარები თითქმის ათჯერ [illegible] მატებიან. შან-სის დაკავება [illegible] დანის მიერ საბედისწერო [illegible] ჩჟან-ცზო-ლინისათვის.

მეორე სახელმწიფო მომგებიანი სესხის მეოთხე ტირაჟი

ოფიციალური ცხრილი

მე-2 სახელმწიფო მომგებიანი სესხის მოგებათა მე-IV ტირაჟისა

17 სექტემბრის დილის სხდომაზე სატირაჟო კომისიის მიერ გათამაშებულია 2,360 მოგება, თვითეული 50 მანეთის ღირებულებისა.

მოგება ხვდა ოცივე სერიის

ქვემოთ ჩამოთვლილ ნომრებს:

0.000.084	0.213.276	0.393.220	0.536.190	0.721.696	0.857.110
0.015.746	0.222.810	0.394.038	0.568.735	0.724.519	0.880.401
0.030.523	0.243.745	0.404.231	0.570.286	0.725.572	0.905.738
0.034.581	0.260.715	0.408.951	0.571.520	0.728.682	0.908.190
0.040.136	0.272.283	0.437.404	0.589.228	0.740.667	0.914.162
0.047.491	0.287.045	0.437.411	0.622.497	0.750.054	0.915.983
0.060.888	0.288.236	0.440.966	0.622.691	0.754.539	0.917.504
0.070.337	0.295.671	0.446.682	0.628.701	0.775.694	0.918.931
0.073.142	0.298.922	0.448.834	0.630.952	0.782.030	0.922.241
0.093.517	0.313.709	0.449.734	0.636.591	0.787.225	0.934.159
0.112.530	0.324.021	0.458.615	0.643.359	0.790.955	0.942.951
0.116.720	0.331.887	0.466.304	0.644.539	0.797.710	0.962.338
0.127.754	0.338.681	0.494.896	0.645.501	0.802.313	0.962.993
0.138.782	0.351.896	0.502.136	0.651.870	0.803.384	0.970.678
0.152.908	0.361.188	0.510.835	0.654.386	0.806.537	0.976.414
0.158.278	0.368.430	0.515.151	0.670.008	0.826.033	0.981.021
0.172.740	0.369.398	0.524.859	0.683.572	0.831.378	0.982.657
0.177.423	0.385.289	0.529.572	0.684.034	0.846.802	0.990.147
0.197.157	0.388.953	0.531.578	0.692.372	0.849.728	
0.212.400	0.392.522	0.531.899	0.713.669	0.850.604	

17 სექტემბრის სალამოს სხდომაზე გათამაშებულ იქნა 18 მოგება 50 მანეთის ღირებულების თითო. გარდა ამისა გათამაშებული იქნა 1.100 მოგება, ასი მანეთის ღირებულების თითო.

50 მანეთიანი მოგებანი

ხვდა ქვემოდ ჩამოთვლილ ნომრებს ობლიგაციებისას და სერიებისას.

0.018.475	სერ. 16	0.171.641	სერ. 2	0.311.718	სერ. 1	0.653.079	სერ. 9
0.071.800	„ 2	0.254.167	„ 3	0.437.789	„ 20	0.687.518	„ 3
0.129.741	„ 16	0.271.802	„ 13	0.485.285	„ 14	0.921.226	„ 2
0.150.579	„ 18	0.292.574	„ 7	0.528.942	„ 13		
0.152.896	„ 16	0.301.760	„ 1	0.621.259	„ 4		

ასმანეთიანი მოგებანი (ოცივე სერიის)

0.058.311	0.256.763	0.365.703	0.538.289	0.665.880	0.837.840
0.082.244	0.270.381	0.384.065	0.546.914	0.680.590	0.846.953
0.102.213	0.287.594	0.386.444	0.579.181	0.684.000	0.847.848
0.136.935	0.290.403	0.403.979	0.609.094	0.709.101	0.877.033
0.158.801	0.311.285	0.425.247	0.625.716	0.736.562	0.903.376
0.182.679	0.312.515	0.431.800	0.628.601	0.740.442	0.914.543
0.226.834	0.333.484	0.455.322	0.642.332	0.762.471	0.932.688
0.230.205	0.345.362	0.490.229	0.653.097	0.788.856	0.932.805
0.248.866	0.349.499	0.532.871	0.655.499	0.810.498	0.933.724
					0.994.509

მოგებათა გაცემას აწარმოებენ სახელმწიფო ბანკის დაწესებულებანი შემდეგი გაზეთების — „Известия ЦИК СССР", „Заря Востока"-ს და „კომუნისტი"-ს იმ ნომრების გამოსვლის სამი დღის შემდეგ, ხოლო ადგილებზე კი მიღებიდან 3 დღის შემდეგ, სადაც გამოქვეყნებული არის მოგებათა ოფიციალური ცხრილები.

სატირაჟო კომისიის თავმჯდომარე **ელიავა**

სატირაჟო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ოზოლინი**

წევრები: **ხმელევსკი, ხაჩარიანი, პანიანცი, ზურიკაძე, არეშიძე. ოტროგლიანცი, პილტაკიანი.**

მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელნი | **ხოკოლოვი, ასმაროვი.**

მდივანი: **ვლოსენკოვი.**

მომგებიანი სესხის ობლიგაციების ტრიალი

სახელმწიფო კრედიტის განვითარებისათვის ერთ არსებით პირობათაგანს წარმოადგენს საფონდო ბაზარზე თავისუფალი ფულადი კაპიტალის არსებობა.

იმისდამიხედვით, არის თუ არა ბაზარზე ფულების საკმაო ანუ განსაზღვრული რაოდენობა, იმისდამიხედვით, აქვს თუ არა მოსახლეობას შემონახული თავისუფალი თანხები, ვითარდება საკრედიტო ოპერაციები.

სახელმწიფო შინაური კრედიტის განვითარების დასაწყისში ანუ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ ხანებში, ქვეყნის სამეურნეო ცხოვრება ის იყო ეწყობოდა. შემონახული ე. ი. თავისუფალი თანხები თითქმის არ ყოფილა. ამავე დროს სახელმწიფო ბიუჯეტის და ფულის რეფორმის ინტერესები მოითხოვდენ პირველი და მეორე მომგებიანი სესხებიდან შემოსავლის გაძლიერებას და მართლაც შემოსავალი გადიდებულ იქნა მოსახლეობის შეძლებულ ფენებზე ობლიგაციების იძულებითი განაწილების საშუალებით. აგრეთვე ობლიგაციები ხელფასის ანგარიშში ეძლეოდათ მუშა-მოსამსახურეებს, რომელნიც განიცდიდენ რა ნივთიერ ხელმოკლეობას, ხშირად მოკლებული იყვნენ საშუალებას ობლიგაციის დაგირავებით მიეღოთ სესხი.

ამიტომ ხშირად მათ ობლიგაციები გასანაღდებლად ბაზარზე გამოჰქონდათ. რაკი ბაზარზე მოთხოვნილება არ იყო, ობლიგაციების ფასები ეცემოდა. შრომშრომელ მოსახლეობასაც, რომელსაც საბრუნავი თანხა ესაჭიროებოდა, ბაზარზე გამოჰქონდა სხვა და სხვა საფასურში მიღებული ობლიგაციები, ასეთი გარემოება ძალიან ავიწროებდა ამ ფასიანი ქაღალდის ტრიალის ასპარეზს.

რამოდენიმე ხნის შემდეგ მომგებიანი სესხის რეალიზაციის დამთავრებისას, საბჭოთა რესპუბლიკებში დოვლათის და ქონების ზრდის და დაგროვების გამო, დაიწყო ობლიგაციების მოქალაქეთა ხელში თავმოყრის ნელი, მაგრამ საიმედო პროცესი. ამ დროიდან ყველა ნებაყოფლობით იძენდა ობლიგაციებს. ობლიგაციების გამოტანა ბაზარზე შემცირდა, სამაგიეროდ იმატა მოთხოვნამ. ობლიგაციების ბაზარი გამოცოცხლდა, რის გამოც შესაძლებელი გახდა ოფიციალური კოტიროვკიდან კოტიროვკის ისეთ სისტემაზე გადასვლა, რომელიც გამოხატავს ობლიგაციების ნამდვილ ღირებულებას.

ობლიგაციებზე ერთიანი ფასების დაწესებამ შესაძლებელი გახადა ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვა საკრედიტო დაწესებულებებში და შემნახველ კასებში. ამიტომ პირველი და მეორე სახელმწიფო სესხი სავსებით განაღდებულია.

ამის დამამტკიცებელია ობლიგაციების კურსის ზრდა. კერძოთ აღსანიშნავია მეორე მომგებიანი სესხის ობლიგაციების კურსის ზრდა. თუ 1925 წლის იანვრისათვის თვითეული ობლიგაცია 1 მან. 25 კაპიკათ ფასობდა, 1 სექტემბრისათვის იგი ღირდა 4 მან. 25 კაპიკი.

ამგვარად, მეორე სესხის ობლიგაციების მქონებელთათვის ობლიგაციები საუკეთესო საშუალებაა თავიანთი შემონახულ თანხების მოსათავსებლად: მათი ინტერესები სავსებით უზრუნველყოფილია ბაზარზე ობლიგაციის კურსის შეუჩერებელი ზრდით, რაც ასე შესამჩნევი გახდა ამ უკანასკნელ ხანებში.

სენატორი ბორა საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ

პარიზი, 16 სექტემბერი. საპარლამენტო არდადეგების შემდეგ ვაშინგტონში დაბრუნებულმა სენატორმა ბორამ პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ კონგრესის მუშაობის განახლების შემდეგ მას განზრახული აქვს კვლავ დაიწყოს ბრძოლა საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოდ.

ბორა ფიქრობს, რომ ცნობის შანსები გაიზარდა, რადგან საბჭოთა კავშირთან საქმიანი ურთიერთობის განვითარებამ დაარწმუნა ამერიკის საქმიანი წრეები, რომ საჭიროა საბჭოთა მთავრობის ცნობა.

ინგლისის პროფკავშირთა ყრილობის შემდეგ

ამერიკის პრესა ყრილობის შესახებ

ნიუ-იორკი, 16 სექტ. ამერიკის გაზეთები ვრცლად ათავსებენ ანგარიშებს ინგლისის პროფკავშირთა ყრილობის შესახებ.

ანგარიშებში ყრილობა დახასიათებულია, როგორც ბრძოლის ასპარეზი ამსტერდამსა და მოსკოვს შორის, რომელმაც გამარჯვება არგუნა უკანასკნელს. ბურჟუაზიული გაზეთები ცდილობენ მიჩქმალონ ყრილობის რეზოლიუციების მნიშვნელობა და აგრეთვე მათი შიში ყრილობის შედეგების შესახებ. „ნიუ-იორკ ტაიმს" აღნიშნავს, რომ ყრილობის რეზოლიუციებში დაუესის გეგმის და ამსტერდამთან დამოკიდებულების შესახებ მოსჩანს მოსკოვის ზეგავლენა.

ავსტრიის კომპარტიის ყრილობა

ვენა, 16 სექტ. ავსტრიის კომპარტიის მე-8 ყრილობის მეორე სხდომაზე ზოგიერთ ფრაქციების წინადადება გერმანიასთან ავსტრიის შეერთების და დუნაის რესპუბლიკის შექმნის შესახებ წაღებულ იქნა უკან.

ერთხმად იქნა არჩეული ახალი ცენტრალური კომიტეტი, რომელშიაც უმრავლესობას შეადგენს მუშები. ყრილობაზე გამოვიდა დელეგაცია 18.000 უმუშევრის სახელით და განაცხადა, რომ ისინი სთვლიან კომპარტიას უმუშევართა ინტერესების ერთად-ერთ დამცველად. დელეგაცია მოუწოდებდა ყრილობას იბრძოლოს პროფკავშირთა ბიუროკრატების წინააღმდეგ და მხარი დაუჭიროს უმუშევართა მოთხოვნილებებს.

შვედ ლიბერალების ტაქტიკა

სტოკჰოლმი, 16 სექ. შვედ ლიბერალების მემარჯვენე ფრთის ლიდერმა ეკმანმა წარმოსთქვა ვრცელი პოლიტიკური სიტყვა, რომელშიაც განაცხადა, რომ თავისუფლად მოაზროვნე ლიბერალები წინანდებურად მხარს დაუჭერენ სოც.-დემოკრატიულ მთავრობას, თუ ის გაატარებს მათ პოლიტიკას.

ეკმანი მიემხრო 8 საათის სამუშაო დღის დატოვებას, მაგრამ ეკონომიური დემოკრატიის პრინციპის გატარება მიუღებლად სცნო.

ეკმანის აზრით, რიკსდაგის გახსნის შემდეგ მოსალოდნელია მთავრობის კრიზისი და შეიძლება მის შემდეგ მოჰყვეს უმცირესობის მთავრობის, ესე იგი მისი ჯგუფის მთავრობის, შექმნა.

სოციალ-დემოკრატების ორგანო „სოციალ-დემოკრატენ" აღნიშნავს, რომ შიში მთავრობის მოსალოდნელი კრიზისის შესახებ გადამეტებულია. გაზეთის სიტყვით, ეკმანი შეუძლებლად არ სთვლის ბურჟუაზიის თანამშრომლობას მემარცხენე სოც.-დემოკრატებთან, მაგრამ ეს „ძნელ საქმეთ" მიაჩნია. გაზეთის აზრით, თუ ეს თანამშრომლობა შეუძლებელი იქნება, სოც.-დემოკრატიული მთავრობა გადადგება.

ჩეხო-სლოვაკიის ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის დაშლა

პრაგა, 16 სექტემბერი. ჩეხო-სლოვაკიის ნაციონალ-დემოკრატიული პარტია, მსხვილი კაპიტალის ინტერესების გამომხატველი, რომელიც ძლიერ გავლენას ახდენდა ინტელიგენციის და სახელმწიფო მოსამსახურეების ზედა ფენებზე, განიცდის სერიოზულ კრიზისს. პარტიიდან გავიდენ უნგლიში და სტრანსკის მთელი ჯგუფი, შემდგარი მრეწველებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებისაგან, რომელიც წინად ემხრობოდა მასარიკის პარტიას. პარტიიდან გამოსულებმა დაარსეს ცალკე პარტია—შრომის ნაციონალური პარტია, რომელიც დამოუკიდებლად გამოვა მომავალ არჩევნებში.

ბრიუსი უკმაყოფილოა

ლონდონი, 17 სექტემბერი. ავსტრალიის ფედერაციის პრემიერი ბრიუსი გამოვიდა სიტყვით, რომელშიაც სასტიკად გაილაშქრა კომუნისტების წინააღმდეგ. ბრიუსის სიტყვით, კომუნისტებმა უკანასკნელ წლებში მოიპოვეს მნიშვნელოვანი გავლენა პროფმოძრაობაში და სარგებლობენ ამით, რათა მოახდინონ სოციალური რევოლიუცია და დაამყარონ თავიანთი დიქტატურა.

ბრიუსმა განიმეორა თავისი წინანდელი განცხადება, რომ მთავრობამ გადასწყვიტა ებრძოლოს კომუნისტებს ყოველივე საშუალებით.

მსოფლიო გადაფრენა

მოსკოვი, 17 სექტემბერი. მიღებული ცნობების თანახმად, დაიწყო იტალიის ორი სამხედრო ჰიდროპლანის ფრენა მსოფლიოს ირგვლივ. მფრინავებს განზრახული აქვთ ინახულონ ევროპის ყველა მნიშვნელოვანი დედა-ქალაქები. ლენინგრადში, რომელიც წარმოადგენს მათი ფრენის უკანასკნელ პუნქტს, ისინი უნდა მოფრინდენ სექტემბრის ბოლოს.

მუშათა კავშირი

ლონდონი, 16 სექტ. შესდგა მემანქანეების და ცეცხლის შემკეთებელთა გაერთიანებული კავშირის სპეციალური სადელეგატო თათბირი, რომელმაც დაადგინა უფლება მიეცეს კავშირის აღმასკომს შევიდეს მომავალ მუშათა კავშირში. სამთომადნო მუშების ფედერაციამ მიიღო მუშათა კავშირის კონსტიტუცია.

ტრანსპორტზე მომუშავე შავი მუშების კავშირი ახდენს თავის წევრებს შორის რეფერენდუმს ამ საკითხის შესახებ.

მანქანების საამშენებლო მრეწველობის მუშათა კავშირი ემხრობა მუშათა კავშირში შესვლას.

რკინისგზელთა ნაციონალურმა კავშირმა დაადგინა მოითხოვოს ზოგიერთი ცვლილებების შეტანა კონსტიტუციაში.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ქარხნების ამუშავება

არტემიევსკი, 17 სექტემბერი. 19 სექტემბერს ამუშავებული იქნება სოდის ქარხანა სლავიანსკში და შუშის ქარხანა კრამატორსკაიაში. 20 სექტემბერს ამუშავებდა პეტროვსკის ლითონის ქარხანა.

ეროვნულ უმცირესობათა საგანმანათლებლო საჭიროებისათვის

მოსკოვი, 17 სექტ. საბჭოთა რუსეთის სახ. განათლების კომისარიატმა წინადადება მისცა სახალხო განათლების ყველა საგუბერნიო და საოლქო განყოფილებებს გაიღონ განსაზღვრული თანხები არა რუს ეროვნებათა საგანმანათლებლო საჭიროებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნულ უმცირესობათა სკოლებისათვის სამშობლო ენაზე სახელმძღვანელოების მიწოდებას.

პროფესორ ფრიდმანის გარდაცვალება

ლენინგრადი, 17 სექტ. მუცლის ტიფისაგან გარდაიცვალა [illegible] გეოფიზიკური [illegible] ობსერვატორიის პროფესორი ფრიდმანი 38 წლისა.

ამას წინად ფრიდმანი აფრინდა სფერიულ ჰაეროსტატით 7 ნახევარ კილომეტრის სიმაღლეზე.

კავალერიის გადარბენა

ლენინგრადი, 17 სექტემბერი. 14 სექტემბერს დაიწყო საცდელი საკავალერიო გადარბენა მოწყობილია ბუდიონის მონაწილეობით.

მოსკოვში კავალერისტები ჩავლენ 18 ან 19 სექტემბერს დილით. გადარბენის დროს ცხენების შემადგენლობა უცვლელი რჩება.

უკრაინა

ბრუნდებიან პალესტინიდან

ოდესა, 17 სექტ. ახლო-აღმოსავლეთის რეისის შემდეგ დაბრუნდა გემი „[illegible]ობოლსკი", რომლითაც პალესტინიდან დაბრუნდა 40 ებრაელი.

ჩამოსულები აღნიშნავენ წარმოუდგენელ სიძვირეს, უმუშევრობას და ეკონომიურ კრიზისს პალესტინაში.

ყველანი აღშფოთებული არიან სიონისტების ყალბი ცნობებით ებრაელებისათვის მიწების უფასოთ დარიგების შესახებ.

ჩამოსულები აცხადებენ, რომ [illegible] კიდევ 400 ებრაელი.

დაბრუნებულებს განზრახული აქვთ მიმართონ მშრომელ ებრაელ მიწათმოწყობის საზოგადოებას თხოვნით მიწის მიცემის შესახებ.

ამხ. ხურგინის და სკლიანსკის ნეშტების გადმოგზავნა მოსკოვში

პარიზი, 16 სექტემბერი. პარიზში ჩამოტანილი ყუთები ხურგინის და სკლიანსკის ნეშტებით მოთავსებულ იქნა საბჭოთა სრულუფლებიან წარმომადგენლობის ბინაზე. საპატიო ყარაულებად იდგენ პარიზში არსებულ საბჭოთა დაწესებულებების წევრები. სამგლოვიარო ცერემონიას დაესწრნ პარიზში მყოფი ყველა საბჭოთა მუშაკები. სიტყვები წარმოსთქვეს დავტიანმა და რაკოვსკიმ.

ნეშტები საბჭოთა მუშაკების თანხლებით გადმოგზავნილ იქნა მოსკოვში.

სამეცნიერო აკადემიის 200 წ. თავი

აკადემიის მორიგი ამოცანები

ლენინგრადი, 17 სექტ. მოსკოვიდან დაბრუნდა სამეცნიერო აკადემიის მუდმივი მდივანი ოლდენბურგი რომელმაც განაცხადა, რომ აკადემიის უახლოეს ამოცანას წარმოადგენს სამეცნიერო გამომცემლობის გაძლიერება. საჭიროა გამოიცეს დაგროვილი დიდძალი სამეცნიერო მასალა. ფინსახკომმა თანხმობა განაცხადა გადიდებულ იქნას ამ ნაშრომთა გამოსაცემად გადადებული თანხა.

მეორე ამოცანას წარმოადგენს დაუყოვნებლივ სამეცნიერო ექსპედიციის მოწყობა მოძმე რესპუბლიკების შესასწავლად.

უცხოელი მეცნიერები ლენინგრადში

ლენინგრადი. 17 სექტ. მოსკოვიდან ჩამოსული ფრანგი მეცნიერები ლევი და პელიო დარჩებიან ლენინგრადში 10 დღით სამეცნიერო მუშაობის საწარმოებლად ერმიტაჟში და აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებში.

ხვალ შტეტინში გაემგზავრება უცხოელ მეცნიერების ერთი ჯგუფი, რიცხვით 15 კაცი, რომლებიც დაესწრნ საიუბილეო ზეიმს.

მიტინგი წითელ პრესნაში

მოსკოვი, 17 სექტ. წითელ პრესნაში, სასადილოს შენობაში შესდგა დიდი მიტინგი სამეცნიერო აკადემიის ორასი წლის თავის აღსანიშნავად. მიტინგს დაესწრნ დიდძალი ადგილობრივი მუშაკები, რომლებიც მიესალმნ რუსეთის და უცხოეთის მეცნიერების წარმომადგენლებს.

შესავალი სიტყვები წარმოსთქვეს აკადემიკოსებმა ოლდენბურგმა და სტეკლოვმა.

დამსწრეებს მიესალმა უცხოელ მეცნიერთა წარმომადგენელი ფრანგი პროფესორი **სიმონ ლევი**, რომელმაც აღნიშნა, რომ მას, 60 წლის მოხუცს, პარიზის კომუნის მოწამეს, არასოდეს არ აშინებდა წითელი ფერი, რომელიც ამშვენებს მიტინგის დარბაზს და რომელიც სიმბოლოა შრომის და მეცნიერების ერთობის.

აკადემიკოს ლაზარევის სიტყვის შემდეგ ილაპარაკეს მუშების წარმომადგენლებმა.

მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ წითელ პრესნაში გამართული მიტინგი სამეცნიერო აკადემიის 200 წლის აღსანიშნავად მოწმობს პროლეტარიატის დაახლოვებას სამეცნიერო მუშაკებთან, რაც შესაძლებელი გახდა მხოლოდ მაშინ, როცა ხელისუფლების სათავეში ჩაუდგენ მუშები და გლეხები.

ინგლისის საპარლამენტო დელეგაცია

სახელმწიფო ბანკში

მოსკოვი, 17 სექტ. ინგლისის საპარლამენტო დელეგაციის წევრებმა ინახულეს სახელმწიფო ბანკი, სადაც ესაუბრნ სახ. ბანკის. გამგეობის მოადგილეს არკუსს. აქ დელეგაცია გაეცნო ინფორმაციას, რომელიც ეხება მრეწველობას და სასოფლო მეურნეობისათვის კრედიტების მიცემას და საერთოთ საკრედიტო პოლიტიკის საკითხებს.

დელეგაციის წევრებს უჩვენეს სახ. ბანკის ოქროს ფონდი. დელეგაცია გაოცებული იყო ოქროს [illegible] დენობით სახ: ბანკის საწყობებში.

დელეგაციამ ინახულა აგრეთვე „სევეროლესი". დელეგაციის წევრებთან საუბრის დროს, სხვათა შორის, ნათქვამი იყო, რომ ინგლისელების მიერ არხანგელსკის ოკუპაციის დროს, იქ დანგრეული იქნა მრავალი სახერხი ქარხანა. დელეგაციამ განაცხადა, რომ ინგლისში დაბრუნების შემდეგ თავის ანგარიშში ის აღნიშნავს ამ გარემოებასაც.

ამხ. სოკოლნიკოვთან

მოსკოვი, 17 სექტ. 13 სექტემბერს ამხ. სოკოლნიკოვმა მიიღო ინგლისის საპარლამენტო დელეგაცია, რომელთანაც ჰქონდათ საუბარი საბჭოთა კავშირის ფინანსიური მდგომარეობის და პერსპექტივების შესახებ

დელეგატები სავსებით დაკმაყოფილდენ მიღებული ცნობებით. დელეგაციის წევრების სიტყვით, სოკოლნიკოვთან საუბარმა მათ მისცა მნიშვნელოვანი ინფორმაცია საბჭოთა კავშირის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ, რაც დიდათ აინტერესებს ინგლისის მუშებს.

ინგლისელი იმპერიალისტები ვერ შეგვაშინებენ

ხარკოვი, 17 სექტემბერი. უკრაინის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარის დროს შავ ზღვაში ინგლისის კრეისერების გამოჩენის გამო რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს წევრმა ზატონსკიმ განაცხადა:

„კრეისერების გამოჩენა უნდა შევაფასოთ ისევე, როგორც ინგლისელების მანევრები ბალტიის ზღვაში. ალბად, ყველაფერი ეს წარმოადგენს შემადგენელ ნაწილს ინგლისის რეაქციონური მთავრობის ცდისას მოაწყოს ერთიანი ფრონტი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ინგლისელების გამოჩენა სამხრეთ ნაპირებთან მოულოდნელი არ არის და არ გამოიწვევს არავითარ გართულებას".

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ახალქალაქის მაზრა

მეცადინეობის დაწყება სკოლებში

ახალქალაქი. 17 სექ. მეცადინეობა მაზრის ყველა სკოლებში გადაწყვეტილია დაიწყოს 1 ოქტომბრიდან, რადგან მოწაფეები ეხლა მუშაობენ ყანებში. მაზრაში არის 55 სკოლა. ახალი ბიუჯეტის მიხედვით მათი რიცხვი გადიდებული უნდა იქნეს 98-დე, თუმცა ეს რაოდენობაც ვერ დააკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას. არის ისეთი სოფლებიც, სადაც სკოლა არ მოიპოება. ქალაქში იხსნება სკოლა ყველა ახალგაზრდა გლეხებისათვის.

აღმშენებლობა მაზრაში

ახალქალაქი. 17 სექტ. ამჟამად მაზრაში სწარმოებს გაცხოველებული აღმშენებლობითი მუშაობა. ადგილობრივი მეურნეობის განყოფილებასთან დაარსებულია ტეხნიკური სექცია ორი ინჟინრის და ერთი ტეხნიკოსის შემადგენლობით. ამ სექციამ ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს საამშენებლო მუშაობას მაზრაში. სწარმოებს სასკოლო შენობების შეკეთება, რომელიც მზად უნდა იქნეს სამოსწავლო წლის დაწყების დროს. აგრეთვე მიმდინარეობს ქოხსამკითხველოების, თემაღმასკომის კანცელარიის რემონტი. კეთდება ხიდები, გზები და სხვა.

აფხაზეთის სოფლებში

ს. მარხეულის ავ-კარგი

ჩვენი სოფელი სულ თხუთმეტიოდე ვერსითაა დაშორებული სოხუმს. მიუხედავათ ამისა აქ ძველ ზნე-ჩვეულებებს მაგრათ აქვს გადგმული ფესვები. ყველაზე აღმაშფოთებელი ისაა, რომ აქაური ყოფილი მემამულეები ეხლაც ღებულობენ ლალას მიწებში. საქმე იმაშია, რომ ჩვენ სოფელში არიან შემოსული ხალხი: ბერძნები და სომხები. მათ ეშინიათ ძველ ბატონების, კარგათ არ იციან საბჭოთა წესწყობილების კანონები და თავზე ისვამენ ძველ თავადიშვილებს.

გარდა ამისა მარხეულის თემში არის კოოპერატივი. აჭირებული კაცია ამ კოოპერატივის გამგე. პირველ ხანებში ის ფეხით დადიოდა სოხუმში კოოპერატივის საქმეებზე. რამდენიმე ხნის შემდეგ [illegible] დაიწყო მოგზაურობა. ეხლა ცალკე ეტლს ქირაობს და ისე დაიარება. აქ ბოროტება ის არაფერი იქნებოდა, რომ კოოპერატივის საქმეც ისე წინ წასულიყო ამ ხნის განმავლობაში, როგორც ვითარდებოდა გამგის ტრანსპორტის საქმე.

ვ. ლარსანია.

ვინ მოკლა ფიჩხაია?

ს. წებელდის აღმასკომის თავმჯდომარე არუშან [illegible] და მილიციის უფროსი ფიჩხაია მჭიდრო კავშირში იყვნენ ერთმანეთთან და ერთად აკეთებდენ ბნელ საქმეებს. ფიჩხაია იმის მაგიერათ, რომ ებრძოლა ქურდ-ბაცაცებთან, თვითონ შეუდგა ამ ხელობას. თოფჩიანი მას ხელს უწყობდა სხვადასხვა ყალბ დოკუმენტების გაცემით.

სასიქადულო მილიციის უფროსი იპარავდა ცხენებს და აგზავნიდა მეზობელ მაზრებში. ბოლოს კოკამ წყალი არ მოიტანა და ქურდ ფიჩხაიას აღმოაჩნდა ორი მოპარული ცხენი. თოფჩიანი დიდ საგონებელში ჩავარდა: მან იცოდა, რომ ფიჩხაიასთან ერთად ფარდა აეხსნებოდა მის ხელის შემწყობ ბოროტმოქმედთაც.

რამდენიმე დღის შემდეგ ფიჩხაია ვიღაცამ ტყეში ვერაგულათ გამოასალმა სიცოცხლეს. დღეს სოფელში არის რამდენიმე პირი, რომლებსაც უნახავთ თოფჩიანისთვის მოკლულ ფიჩხაიას ვერცხლის ქამარი და ხანჯალი.

იბადება კითხვა, ვინ მოკლა თომა ფიჩხაია?

სამნი.

გლეხკომი მოიკოჭლებს

გუმისტის თემი ერთი მრავალრიცხოვანი თემთაგანია აფხაზეთში. აქაურ გლეხკომს, რომ მას საქმისადმი ხალისი ჰქონდეს და უნარით შესწევდეს, კარგათ შეეძლია საქმის დაყენება. სამწუხაროთ ეს ასე არაა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გლეხკომის თავმჯდომარის სისუსტე და საქმისადმი დაუდევრობა. თემის ქონება გაბნეულია და მას სხვები ეპატრონება. მაგალითად ფიჩხუას ყოფილი ქონება, სააგუროს ეზო, წისქვილი და ბევრი სხვა ასეთები კერძო პირთა სარგებლობის საგნათაა გადაქცეული.

ამ ქონებიდან ვერც ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები და ვერც მით უმეტეს გლეხკომი სარგებელს ვერ ნახულობს. გუმისტელი გლეხები მოითხოვდენ მაგალითად ფიჩხუას მიწების იჯარით აღებას. მაგრამ რატომღაც ეს ადგილი კერძო პირს გადაეცა, რომელსაც ის წელს სრულიად არ დაუმუშავებია და მინდვრათა აქვს გაშვებული.

გლეხკორი ნ. ზაქარიაშვილი.

ყოფილ მენშევიკ-მუშების [illegible] მეორე ინტერნაციონალის [illegible] მარსელში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ დღეს მივმართავთ მეორე ინტერნაციონალს, როგორც უმაღლეს ინსტანციას სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიისას, რომ მან ხმა აღიმაღლოს იმ ავაზაკური საქციელის წინააღმდეგ, რომელსაც მიმართეს ჩვენმა ყოფილმა ამხანაგებმა, აქ ემიგრაციაში მყოფ მუშების წინააღმდეგ. ალბათ ინტერნაციონალისათვის ცნობილია ის დავა და უთანხმოება პარტიის ხელმძღვანელთა და მუშების შორის, რომელიც სამი წელია გრძელდება ჩვენს პარტიაში როგორც იქ საქართველოში, ისე აქ უცხოეთში.

ჩვენ, როგორც მუშები, ვერასოდეს ვერ ურიგდებოდით იმ დამღუპველ, განმანადგურებელ პოლიტიკას, რომელიც ქართველ მშრომელ ხალხს საერთოთ და კერძოთ ჩვენს პარტიას, პოლიტიკურ და ფიზიკურ განადგურებისაკენ მიაქანებდა.

ინტერნაციონალი გაეცნობა რა ჩვენს მიმართვას ამხანაგებისადმი. დარწმუნებული ვართ, რომ ის საჩქაროთ შეუდგება საქმის გამოძიებას, გაეცნობა პარტიაში შექმნილ მდგომარეობას და დაინახავს თუ რამდენათ ასცდა პარტია და დაშორდა თავის პრინციპებს.

ჩვენის ღრმა რწმენით ეს მდგომარეობა პარტიაში გამოიწვია იმ პარტიებთან კოალიციამ, რომელშიაც იმყოფება დღეს როგორც პარტია ისე ყოფილი მთავრობა, რომელთა მოქმედებამ არა ერთხელ დაატეხა თავს ქართველ ერს. მრავალი უბედურება და გაავლო იგი სისხლის მორევში.

აი ამ მიზეზისა გამო, მრავალ ჩვენ ამხანაგებთან ერთად ჩვენ იძულებული გავხდით დაგვეტოვებინა პარტია. ინტერნაციონალმა ამასთანავე მიიღოს მხედველობაში ისიც, რომ ჩვენს პარტიაში ყოველგვარ საქმეს განაგებს ისევ მთავრობა, რადგან ყოფილი მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია არის ამავე დროს პარტიული ბიუროს თავმჯდომარეც. მთავრობის დანარჩენი წევრები: ნოე რამიშვილი, ევგენი გეგეჭკორი, კ. კანდელაკი და [illegible] ახლავთ [illegible] მიმართვა პარტიული [illegible].

დავტოვეთ რა პარტია, ჩვენ ერთი წუთითაც არ გვსურს დავივიწყოთ საერთო მუშათა კლასის ინტერესები და მზათა ვართ მთელი ჩვენი შეგნებით, ენერგიით და თავდადებით ვემსახუროთ მას, მაგრამ სამწუხაროთ ამ ჩვენს შეხედულებას წინ აღუდგა ავაზაკურად შეიარაღებული პარიტეტული კოალიცია სოც.-დემოკრატიული პარტიისა მთავრობის აგენტებისა, ფაშისტებისა და ყველა ჯურის ბანდიტებისა. რასაკვირველია ჩვენთვის მოულოდნელი არ იყო პარტიაში გამეფებული მდგომარეობის და მიხედვით მათი ასეთი თავდასხმა ჩვენს წინააღმდეგ.

ჯერ იყო და მათ მოახდინეს პირველი თავდასხმა ჩვენს ამხანაგ თედო დემეტრაშვილზე, რომელსაც სცემეს. ამის შემდეგ გამოგვიცხადეს საერთო ბოიკოტი. მოგვენათლეს მოღალატეებათ და გამყიდველებათ, რაზედაც ჩვენგან მიიღეს წერილობითი მიმართვა, რომელსაც აქვე გაახლებთ. დასასრულ, ჩვენ შევიკრიბენით პარიზის ერთ-ერთ უბნის კაფე—ვოლტერში, სადაც თავს დაგვესხა რკინის ჯოხებით შეიარაღებული ორმოცამდე კაცი ჩვენი ყოფილი ამხანაგების მეთაურობით.

არ დაინდვეს არც მოხუცი, არც ქალი და არც სრულიად უდანაშაულო ბავშვებიც კი. მრავალია დაჭრილი და დასახიჩრებული სამუდამოთ. როგორც სჩანს საქმე ამით არ თავდება და მათ ბოროტ განზრახვებს ბოლო არ უჩანს, დღევანდელი მდგომარეობა ქართველი მშრომელი ხალხისა, მისი ინტერესები მოითხოვს მშვიდობიანობას, უარყოფას ყოვლად შეიარაღებული გამოსვლებისას, და რაც მთავარია დღეს პარიტეტული კოალიციისას.

დასასრულ რაც შეეხება სოციალ-დემოკრატიულ ბიუროს საერთო მოქმედებას ჩვენ მოგვითხოვთ მის პასუხისგებაში მიცემას და საქმის სასწრაფო გამოძიებას.

ხელს ვაწერთ: სულაქველიძე, სხულუხია, დემეტრაშვილი, ვეკუა, კრიჟაშვილი.

პარიზი, 16 აგვისტო
1925 წ.

---

*) ინფორმაციის წესით ჩვენ ვათავსებთ აქ ყოფ. მენშევიკ-მუშების მიმართვას მეორე ინტერნაციონალის კონგრესისადმი ქ. მარსელში, რომელიც (მიმართვა) გადმოგვცეს ჩვენ ამ ამხანაგებმა. რ ე დ.

პარტიული ცხოვრება

საშეფო მუშაობის გარშემო

ქალაქის მუშების კულტურული შეფობა სოფლის გლეხობაზე—ამხ. ლენინის ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი ანდერძია.

მართალია, საშეფო მუშაობის სფეროში გადაიდგა სათანადო ნაბიჯები, მაგრამ მას თან ახლავს აუარებელი ნაკლი კერძოთ საქართველოში საშეფო მუშაობას ესაჭიროება დიდი მოწესრიგება.

ჯერ შევეხოთ ერთ ნაკლს: შეფობა არ ატარებდა მთლიან სახეს (ცალკე ორგანიზაციები, დაწესებულებანი დამოუკიდებლივ მოქმედებდენ), ამასთანავე მას აკლდა ხელმძღვანელობაც.

შეფები ჰკიდებდენ ხელს ისეთ საქმეს. რომელიც არ ეხებოდათ და რომლის შესრულება მათ ძალ-ღონეს აღემატებოდა. გლეხებს ჰპირდებოდნენ: აგაშენებთო, ხოლო საქმით კი არაფერი კეთდებოდა ან პირველ ჩასვლის შემდეგ სრულიად ივიწყებდენ შეფობის ქვეშ აყვანილ სოფელს. შეფობის მხრივ ადგილი ჰქონდა სეპარატიულ მოქმედებასაც. ისინი მაგ. ადგილობრივ ორგანოებს არ უწევდენ არავითარ ანგარიშს. ხშირი იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც შეფების წარმომადგენლები სრულებით არ იცნობდენ სოფლის პირობებს და გლეხობის სულისკვეთებას. ასეთ ნაკლოვანებების მოყვანა. ბლომად შეიძლება, მაგრამ ესეც საკმარისია. აი ამ უარყოფით მოვლენებს პირველ ხანებში (1923—24 წ.წ.) უფრო ჰქონდა ადგილი, ეხლა, ასე თუ ისე, მაინც შეიძლება ითქვას, მდგომარეობა გამოსწორებულია.

მაგრამ აქ მოკლეთ ჩამოვთვლით, თუ რა არის საჭირო იმისათვის, რომ გამოვაცხოველოთ საშეფო მუშაობა.

რუსეთის დიდ ქალაქებში შემოიღეს „მუშათა საშეფო საზოგადოებანი", რომელნიც ყოველმხრივ ამართლებენ კულტ-შეფობის მიზნებს. მის წესდებას აქ არ შევეხებით, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ საქართველოს ქალაქების ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით ჩვენც უნდა შემოვიღოთ ნამდვილი, ნებაყოფლობითი „მუშათა საშეფო საზოგადოებანი". ასეთი საზოგადოება პირველ ყოვლისა უნდა დაარსდეს თბილისში თითეული მუშა და მოსამსახურე უნდა გახდეს ამ საზოგადოების ღირსეული წევრი.

ორიოდე სიტყვა თანამესოფლეობაზე. ამის შესახებ ჩვენში ბევრი ითქვა და ცოტა გაკეთდა. ეს არც დიდი ცოდვაა, ვინაიდან თანამესოფლეობა გლეხობას აყენებს ვიწრო ჩარჩოებში. იქმნება ისეთი მუშაობა თითქოს მხოლოდ ნაცნობ ქალაქელთ შეუძლიათ სოფლისადმი დახმარება. თანამესოფლეობისათვის ორგანიზაციული ფუნქციები არ არის საჭირო, თანამესოფლეთ ისედაც შეუძლიათ, რომ დაეხმარონ სოფლებს მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს შეფობის სრული გავლენის ქვეშ.

საჭიროა შორეულ მაზრების სოფლებსაც ჰყავდეთ შეფი, მაგრამ აქ უნდა ვსთქვათ, რომ ყოველთვის არ შეიძლება შორეულ სოფლებზე შეფობა; მხედველობაში უნდა მივიღოთ ტეხნიკური საშუალებანი.

შეფობა უნდა იქნას აღებული თემებზე და არა ცალკე ამა თუ იმ სოფელზე. ეს მით უმეტეს, როდესაც გვაქვს სათემო ადმინისტრატიული სისტემა და ვქმნით თემის კულტურულ ცენტრსაც.

აი ასეთ პირობებში საშეფო მუშაობას მივცემთ უფრო ფართო ხასიათს.

შეფებმა სისტემატიურად უნდა აწარმოონ მუშაობა და არა ერთდროულად, რაც უკმაყოფილებას იწვევს გლეხობაში.

შეფების უმთავრეს მოვალეობას შეადგენს დახმარება სოფლისადმი კულტურულ სფეროში: ასეთია ქოხსამკითხველო, სკოლა, ლიტერატურის მიწოდება, მიწის კულტურული დამუშავებისადმი ხელის შეწყობა, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაში მონაწილეობა და სხვა.

გარდა ამისა, აუცილებელია დახმარება საბჭოს, კოოპერაციის, გლეხკომის და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებისადმი.

საშეფო კომისიებმა ადგილობრივ ორგანოებთან უნდა დაიჭირონ მჭიდრო კავშირი და მათ გარეშე არავითარი ნაბიჯი არ უნდა გადადგან. შეფების წარმომადგენლებათ სოფლად უნდა გაიგზავნონ გამოცდილი და თავდაჭერილი ამხანაგები, რომ მათ მართლაც ხელი შეუწყონ გლეხობის კავშირს მუშებთან.

რესპუბლიკანურ მასშტაბით საშეფო მუშაობას ესაჭიროება ხელმძღვანელობა. სწორედ ამ მიზნით პარტიის ცენტრალურ კომიტეტის მიერ გამოყოფილია ცენტრალური საშეფო კომისია, რომელიც სათანადოთ უნდა გაუძღვეს ამ საქმეს.

მაგრამ საშეფო მუშაობის სწორ ლიანდაგზე დაყენებას და მეტ ნაყოფის მიღების დასაჩქარებლად სასურველია სრულიად საქართველოს კონფერენციის მოწვევა, რომელიც განიხილავს შეფობის ყველა საჭირბოროტო საკითხებს.

პრესამაც მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს საშეფო მუშაობის გაშუქებას და სახელმძღვანელო მასალების გამოცემას.

საშეფო მუშაობის მოგვარება და გაცხოველება—აი პარტიულ ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანა.

შ. ფ—ლი.

წერილები ადგილებიდან

პარტმუშაობა ქედის მაზრაში

თუ მხედველობაში მივიღებთ ამ მაზრის გეოგრაფიულ მდგომარეობას, მაშინ ადვილი წარმოსადგენი იქნება, თუ როგორ მძიმე და რთულ პირობებში უხდება ადგილობრივ პარტამხანაგებს პარტიული მუშაობის წარმოება. 7 აგვისტომდე ქედის მაზრის თემებში მხოლოდ ერთი სამაზრო ინსტრუქტორი აწარმოებდა მთელ ორგანიზაციულ მუშაობას. მაგრამ ამ მუშაობამ მაინც გამოიღო თავისი ნაყოფი იმ მხრივ, რომ მომზადებულ იქნა ნიადაგი ხსენებულ მაზრაში სამაზრკომის დაარსებისათვის. დღეს უკვე არსებობს სამაზრო პარტკომი, რომელიც არავითარ ძალ-ღონეს არ ზოგავს როგორც თემებში, ისე ცალკე სოფლებშიაც ორგანიზაციების ჩამოყალიბებისათვის. თუ წინად ქედის მშრომელთა შორის არ სწარმოებდა არავითარი კულტურული მუშაობა, დღეს ამ მიმართულებითაც გადადგმულია სათანადო პრაქტიკული ნაბიჯები. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ადგილობრივი პარტორგანიზაცია სავსებით გაამართლებს თავის არსებობას.

პეტრე ფოცხიშვილი.

სენაკის მაზრის მოძრავ პოლიტსკოლების მუშაობა

ამ ჟამად არსებობს ორი მოძრავი პოლიტსკოლა: ერთი გაჭედილის თემში და მეორეც ხუნწის. ორთავე სკოლაში გაერთიანებულია 79 მსმენელი. ამათში 46 პარტიის წევრი და კანდიდატია, 15 უპარტიო და 18 კომკავშირის წევრი. სკოლებში მეცადინეობა სწარმოებს ადგილობრივ პირობებთან შეფარდებული პროგრამით. იმ პირობებში, რომელშიაც იმყოფებიან სოფლელი ამხანაგები, უნდა ითქვას, რომ ეს მეცადინეობა დამაკმაყოფილებელია. მსმენელებს პოლიტიკური განათლების მთავარი სამმართველოდან მიღებული აქვთ [illegible]ლები, ფანქრები და მარტივ ენაზე დაწერილი სხვადასხვა წიგნები, თითოს 5-ცალი, რაც მეტად უადვილებს როგორც მსმენელებს, ისე ხელმძღვანელებსაც მუშაობას. სკოლების გამოშვება მოხდება სექტემბრის ბოლო რიცხვებში.

ლ. ქ.

ქ. სურამი.

განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ხანებში ქალთა შორის მუშაობა ძლიერ მოიკოჭლებს. მიზეზი კი ამისა ის არის, რომ არა გვყავს საკმაოდ მომზადებული ქალ-ორგანიზატორთა კადრი. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს თითქოს ისინი, რომლებიც დღეს სათავეში უდგანან ქალთა შორის მუშაობას სურამში, არაფერს აკეთებდეს და არ მუშაობდენ. არა, მუშაობით ისინი მუშაობენ, მაგრამ ეს მუშაობა მხოლოდ „საჩაიეებში" და სამკერვალოებში ყოფნით გამოიხატება. და განა ამით ამოიწურება ქალთა შორის მუშაობა? რასაკვირველია არა. კარგად უნდა ვიცოდეთ, თუ ქალების ფართო მასებს ვერ განვავითარებთ პოლიტიკურად, მათ შორის არ აღმოვფხვრით წერა-კითხვის უცოდინარობას და არ ჩავაბამთ სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების სამუშაოებში, [illegible] ვერ წავიყვანთ. [illegible] არსებულ ქალთა განყოფილებამ [illegible] სურამის ქალთა შორის მუშაობას [illegible] ყურადღება.

ი. გაგოშიძე.

ამხ. ფ. მახარაძის მოგზაურობა სვანეთში

სვანეთში მოგზაურობა ეს მეტად საყურადღებო და თავისებურ რამეს წარმოადგენს, მის შესახებ დაწვრილებითი ანგარიშს მოვათავსებთ.

ეხლა კი საერთოდ თვალს გადავლებით.

5 სექტემბერს დილით შევუდექით სვანეთის გზას. ვმოგზაურობთ ცხენებით. სახიფათო ადგილებში ფეხით გვიხდება სიარული.

გზა და გზა ამხ. მახარაძემ დაათვალიერა სვანური ოჯახი.

შუადღისას შევჩერდით სოფ. ლენჯერში. აქ პირველათ შევხვდით სვანი გლეხების კრებას. ამხ. მახარაძემ მათ გამოჰკითხა სვანეთის მდგომარეობასა და გაჭირვებაზე.

აქედანვე ყველაზე მწვავეთ წამოიჭრა გზების საკითხი და შემდეგ მთელ სვანეთშიც, ყოველ ყრილობაზე და ყველასაგან გაისმოდა სხვა და სხვა სახით გამოხატული მუდარა გზის გაყვანის შესახებ.

სოფ. შველურში ამხ. შამშე ლეჟავამ გვიჩვენა ძველ რევოლიუციონურ ტატო ლიპარტლიანის ოჯახი. მას 905 წელში მრავალი ამხანაგი გადაურჩენია სიკვდილისაგან.

ამ სოფელში მოწვეულ იქნა ჩოლურის თემის კრება. მრავალი მიხსლმების შემდეგ კრებაზე მთელი თემის სახელით გამოვიდა რამდენიმე გლეხი და ასწერდენ სვანეთის საერთო მდგომარეობასა და გაჭირვებას. ყველაზე უდიდეს საჭიროებათ იქაც სთვლიან გზის გაყვანას.

მოითხოვენ აგრეთვე, რომ სვანეთის უმწეო ბავშვებისთვის ქალაქში გახსნილ იყვეს საბავშვო სახლი.

ამხ. მახარაძემ მიმართა სიტყვით და გააცნო, თუ როგორ ზრუნავს საბჭოთა მთავრობა ისეთ გაჭირვებულ და ჩამორჩენილ კუთხეზე, როგორც სვანეთი. თანაც ხალხს აძლევს რჩევა-დარიგებას, რომ იმათაც თავიანთი შრომით და თავგამოდებით ხელი მოუმართონ მთავრობას, რითაც უფრო ჩქარა იქნება შესრულებული მათი ნატვრა და მთელი სვანეთი შარა-გზით შეუერთდება დანარჩენ საქართველოს.

ამავე სოფელში არის სკოლა, კო[illegible], საექიმო პუნქტი [illegible] ერთი [illegible] არ აქვს. ამხ. მახარაძემ მცირედი თანხა დაუტოვა როგორც სკოლის, ისე თეტრის შესაკეთებლად.

* * *

ამავე დღეს ავედით სოფ. ხახასში. ეს არის უკანასკნელი თემი ქვემო-სვანეთისა, რომელიც შესდგება სულ სამი სოფლისგან.

აქ არის საუცხოვო ღირსების სამკურნალო წყლები და სახელდახელოდ გაშენებული აგარაკიც. ყველაფერი ეს ყურადღებით დაათვალიერა ამხ. მახარაძემ.

მეორე დღეს გაიმართა მთელი თემის მრავალრიცხოვანი კრება.

პირველი სიტყვით მიმართა ამხ. შ. ლეჟავამ. იმის მარტივ და სახუმარო კილოთი შეზავებულ საუბარს სიამოვნებით ისმენს გლეხობა.

შემდეგ თემის სახელით გამოვიდა ორი სვანი გლეხი და გასაოცარი მჭერმეტყველობით ილაპარაკეს სვანეთის მდგომარეობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს იშვიათი მჭერმეტყველობა შემთხვევითი მოვლენა კი არ არის, არამედ ამ ნიჭით უხვად ყოფილა დაჯილდოებული მთელი სვანეთის ხალხი, რაშიაც დავრწმუნდით სხვადასხვა ადგილას გამართულ კრებებზე.

რასაკვირველია, მთავარ ღაღადისს აქაც გზის გაყვანა წარმოადგენს.

შემდეგ კმაყოფილებით აღნიშნავენ გაზაფხულზე იქ მყოფ კომისიის მუშაობას, რომელმაც მრავალი საქმე მოაგვარა სვანეთის საკეთილდღეოთ.

ამას გარდა დიდ მადლობას გამოსთქვამენ კოოპერატივის დაარსებაზე, რომელმაც უდიდესი შვება მისცა მოსახლეობას და თავიდან აიცილა მარილზე და ნავთზე ცაგერში 50 ვერსზე სიარული.

შემდეგ მოთხოვნილებათ წამოყენებულ იქნა თემში საექიმო პუნქტის და შვიდწლედის დაარსება. უპატრონო ბავშვების დახმარება და ყურის გდება. აგრეთვე უდიდეს კმაყოფილებას გამოსთქვამენ, რომ სვანეთი განთავისუფლებულია ყოველგვარი გადასახადიდან.

საბოლოოთ სიტყვით კრებას მიმართა ამხ. მახარაძემ. მან გააცნო მიზანი თავისი მოგზაურობისა, რომ თავის საკუთარი თვალით იხილოს სვანეთის გაჭირვება და მალამოც შესაფერი იქნას გამოძებნილი. მან დაარწმუნა ხალხი, რომ მომავალი წლიდან საექიმო პუნქტიც იქნება გახსნილი, შვიდწლედიც დაარსდება და გზის გაყვანას ხომ აუცილებლათ შევუდგებით ამ რამდენიმე თვეში. მხოლოდ რომელი მიმართულებით იქნება ეს გზა გაკეთებული—ბეჩო-ზუგდიდისკენ თუ ლაშხეთ-ცაგერისაკენ, ეს ჯერ საბოლოოთ არ არის გადაწყვეტილი.

ხალხი დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამს ასეთ შეპირებაზე და კრებაზევე ადგენს ამხ. მახარაძის პატივსაცემათ მომავალ შვიდწლედს დაერქვას მისი სახელი.

* * *

იმავე დღეს ლატვარის უღელტეხილით გავემგზავრეთ ზემო-სვანეთისაკენ.

ცხრა საათის [illegible] ქედზე, რომელიც [illegible] ზემო [illegible] ამხ. მახარაძეს შემოეგებნენ ზემო-სვანეთის წარმომადგენლები და ადგილობრივი ხელისუფლება.

დიადსა და არაჩვეულებრივ სურათს წარმოადგენდა ეს საზეიმო შესვედრა ამ კავკასიონის თოვლიან მწვერვალებით გარშემორტყმულ ქედზე.

სალამო ჟამზე გადავედით ზემო-სვანეთში და მივედით პირველ მნიშვნელოვან სოფელ კალაში. ამხ. ფილიპეს შეეგება ხალხი პურ-მარილითა და დროშებით.

მეორე დღეს, 7 სექტემბერს გაიმართა დიდი კრება.

ამხ. ფილიპეს მოგზაურობის შესახებ ხალხს განმარტებას აძლევს ზემო-სვანეთის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. დვალი.

ვრცელი სიტყვით გამოდის თვით ამხ. მახარაძე. ის აწერს სვანეთის გაჭირვებულ მდგომარეობას, მის ბუნებრივ სიმკაცრეს და თავისებურ სიმდიდრესაც, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იყვეს მრავალმხრივ. მხოლოდ ამას სჭირდება სწავლა და გზები. საბჭოთა ხელისუფლება ყველაფერს იღონებს, რომ ეს ჩამორჩენილი კუთხე აამაღლოს და თანაც დაუახლოვოს მთელ საქართველოს როგორც ეკონომიურათ, ისე სწავლა-განათლებით და საერთო წარმატებით.

აქაც ამხ. მახარაძე ხალხს აძლევს დარიგებას, რომ ისინი ნუ იქნებიან მხოლოდ მთავრობის ხელში შემაცქერალი. თვით მათაც უნდა გამოიჩინონ საკუთარი უნარიანობა თავიანთი კუთხის სასიკეთოდ, უმთავრესად ადგილობრივ საბჭოების საშუალებით.

შემდეგ ამხ. მახარაძე მიმართავს ხალხს, რომ გულახდილათ განაცხადონ ყოველივე ტკივილები და სამართლიანი საჩივრები როგორც ადგილობრივ ორგანოებზე, ისე ხელისუფლების ცალკე წარმომადგენლებზეც.

თემის სახელით მას სალამს უძღვნის ერთი გლეხი და შემდეგ ლაპარაკობს სვანეთის ჭირ-ვარამზე. მთავარი სატკივარი, რასაკვირველია გზა არის. ამის შემდეგ ზემო-სვანეთისათვის მოითხოვს ერთ შვიდწლედს, თემისთვის მოითხოვს საექიმო პუნქტს. აგრეთვე ითხოვს, რომ საზ. ხელმწიფო ხარჯით აღიზარდოს რამდენიმე ღარიბი მოსწავლე.

ხალხი უკმაყოფილოა ყოფ. მილიციის უფროს კოპალიანით, რომელსაც ბრალდება მრავალი ბოროტმოქმედება.

ამ დროს ზემო-სვანეთის უკანასკნელ სოფელ უშკულიდან მოდის ხალხის ახალი წყება დროშებით და სიმღერებით. იგინიც უერთდებიან კრებას.

კალაში არის სკოლა და საექიმო პუნქტიც. არ არის კოოპერატივი, რასაც ხალხი დაჟინებით მოითხოვს.

საერთოდ ყველა გლეხი-მოლაპარაკენი დიდის კმაყოფილებით აღნიშნავენ იმ გაუმჯობესებას, რაც სვანეთს ეწია ამ ერთი წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლების დაუზოგავი მუშაობით. მაგრამ ყველაფერი ეს არ არის საკმაო და გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი რამ არის.

როგორც აქ, [illegible] ერთ-ერთ [illegible] საკითხათ გადაქცეულა „სისხლის აღება", ხალხი მოითხოვს, რომ კანონით სასტიკათ იქნენ დასჯილნი ყველანი, ვინც „სისხლის აღები" შურისძიებით.

ამხ. მახარაძე ყველა საკითხზე ვრცელ და მკაფიო პრაქტიკულ განმარტებას აძლევს.

ამავე კრებაზე გამოვიდა შარშანდელ გამოსვლების ერთი მეთაურთაგანი ივანტე გაბლიანი, დღეს საბჭოთა ნიადაგზე მდგომი და ერთგულათ მომუშავე. ის აღნიშნავს გამოსვლების შეცდომას და ამბობს, რომ სვანეთის ყოველ კეთილის მსურველს თამამათ შეუძლიან ითანამშრომლოს საბჭოთა ხელისუფლებასთან.

მიღებულ იქნა მრავალი განცხადება და საჩივრები, როგორც პირადი, ისე საზოგადო ხასიათისა. მრავალ მათგანზე იქავე გაეცა პასუხი ამხ. მახარაძის მიერ.

იმავე დღეს გავემგზავრეთ სვანეთის სამაზრო ცენტრ—მესტიისაკენ.

მ.

ქრონიკა

ავსტრიელ მუშა-ახალგაზრდობის დელეგაცია.

დღეს დილით ბაქოდან თბილისში ჩამოვა ავსტრიელ მუშა-ახალგაზრდობის დელეგაცია.

შავი ქვის გაზიდვა საზღვარ გარეთ

სააქციონერო საზ-ბა „საქართველოს მარგანეცმა" აგვისტოში და სექტემბრის პირველ ნახევარში საზღვარგარეთ გაიტანა 15,000 ტონა (ტონა 62 ფუთია) გარეცხილი მადანი და 1019 ტონა პეროქსიდი. ამ ჟამად იტვირთება გემი 8000 ტონა მადნით. ოქტომბრის დამლევამდე განზრახულია გატანილი იქნას 30,000 ტონა მადანი.

— **საბინაო აღმშენებლობა.** შრომის სახ. კომისარიატმა დაამტკიცა მუშათა საბინაო აღმშენებლობის დამხმარე კომიტეტის დადგენილება ქუთაისის საბინაო ამხანაგობისათვის 10 ათასი მან. სესხად მიცემის შესახებ.

— **ტრაქტორები.** თბილისის მაზრაში ამ ჟამად მუშაობს 10 ტრაქტორი.

— **შრომის მუზეუმი.** შრომის სახ. კომისარიატმა დაამტკიცა შრომის მუზეუმის მოსაწყობათ შედგენილი ხარჯ-აღრიცხვა 5863 მან. და 5 კაპ. რაოდენობით.

— **შავი ზღვის** სანაპიროებზე მომუშავე წყლოსანთა შრომის პირობების დაცვის თვალყურის სადევნელად შრომის კომისარიატის დადგენილებით დაინიშნა ერთი შრომის ინსპექტორი.

— **შრომის კოლექტივი.** შრომის კომისარიატის ხელმძღვანელობით თბილისში უკვე მოეწყო დალაქებისა და საზუმავლო კოლექტივი.

— **თბ. ელსადგურების სამმართველოს** სექტემბრისათვის აღრიცხვაზე ყავდა 9440 აბონენტი.

— **სპირტის დამზადება.** სახალხო მამულების ტრესტმა გადასწყვიტა გლეხებისაგან შეძენილ ღვინოდან წელს დაამზადოს 2 მილიონი გრადუსი სპირტი.

— **წყალის აღრიცხვა.** აგვისტოს განმავლობაში თბ. აღმასკომის წყალსადენის განყოფილებამ აღრიცხვისათვის მიწოდებული 34,759,279 [illegible] წყალი.

— **[illegible]** მიწ. კომისარიატმა მო[illegible]რებში მოკლე-ვადიანი კურსები, ლექციები და სათემო კონფერენციები სას.-სამეურნეო ცოდნის გასავრცელებლად.

— **ახალი დასასვენებელი სახლი მუშებისათვის.** სურსათ-გემოვნების კავშირი ბორჯომში აშენებს თავის წევრებისათვის დასასვენებელ სახლს. ამ თავითვე სახლის ასაგებად გადადებულია 14,000 მან.

— **„საქართველოს განათლების მუშაკი"** რედაქციამ მიიღო ჟურნალი „საქართველოს განათლების მუშაკი" № 1 (საქართველოს განათლების მუშაკთა ცენტრალური გამგეობის ორკვირეული ორგანო).

— **ტრამვაით** აგვისტოში გადაყვანილ-გადმოყვანილი იქნა 3 მილიონი მგზავრი.

— **ამხ. სტრელეცკის ლექცია.** 18 სექტემბერს საღამოს 8 საათზე სერგო ორჯონიკიძის სახელობის კლუბში (მუშტაიდში) შესდგება ამხ. ნ. სტრელეცკის ლექცია: „მოგზაურობა მდინარე „ამაზონკაზე". შესვლა ყველასათვის უფასოა.

საბჭ. სასამართლო

ზ. კვერნაძის საქმე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. გლადკოვის თავმჯდომარეობით გაირჩა კვერნაძის საქმე.

ბრალდებული კვერნაძე 1924 წლის 9 ნოემბერს დაპატიჟებული იყო სოფ. თამარიანში ვინმე ცნობილაძისას ნიშნობაში. ლხინის დამთავრების შემდეგ ის თავის ძმებთან ერთად მიიპატიჟეს ვინმე პაპიაშვილის ოჯახში, სადაც საღამოს 10 საათამდე ქეიფი იყო გამართული. ნასიამოვნები სტუმრები ათი საათის შემდეგ დაიშალენ. ბრალდებული კვერნაძე თავის ძმებთან ერთად წამოვიდა სახლისაკენ. ზ. კვერნაძე შეხვდა გზაში ცნობილაძის ეზოსთან, სადაც დაინახა თავისი მეგობარი ნადირაშვილი და სთხოვა უკანასკნელს წაჰყოლოდა თავის სახლში. მთვრალმა მასპინძელმა ცნობილაძემ იწყინა, რომ მის სტუმრებს სხვები ეპატიჟებოდენ და ასტეხა ერთი აყალ-მაყალი. აყალ-მაყალითაც არ დაკმაყოფილდა ცნობილაძე, იძრო ხანჯალი და გამოეკიდა კვერნაძეს, რომელმაც მოასწრო გაქცევა. მაგრამ ცნობილაძემ აღარ „გააცდინა" ამოღებული ხანჯალი, მივარდა ზ. კვერნაძის ძმას, დაჰკრა ხანჯალი რამოდენიმეჯერ და იქვე მოჰკლა.

ზ. კვერნაძემ, როცა გაიგო მისი ძმის მოკვლა, გაიქცა თავისი მეზობლისას, გამოიტანა თოფი და ესროლა ცნობილაძეს, რომელიც იქვე დაეცა უსულოთ.

სასამართლომ ბრალდება დამტკიცებულად სცნო და სისხლის სამართლის კოდექსის 148 მუხლის ძალით ბრალდებულ კვერნაძეს მიუსაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

უკანასკნელი ამნისტიების ძალით ბრალდებული სავსებით განთავისუფლებულ იქნა სასჯელისაგან.

უცხოელ მასწავლებელთა მეორე ჯგუფი თბილისში

გუშინ, საღამოს 8 საათზე თბილისში ჩამოვიდა უცხოელ მასწავლებელთა დელეგაციის მეორე ჯგუფი, რომელიც შესდგება 8 კაცისაგან. განათ. მუშაკთა კავშირის ცენტრ. კომიტეტის მდივნის ამხ. აპლეტინის მიერ საქართ. გან. მუშ. ცენტ. გამგეობის სახელზე გამოგზავნილ დეპეშის თანახმად დელეგაცია თბილისში უნდა ჩამოსულიყო 3 დღის წინად.

ცნობის მიღებისთანავე დელეგაციის შესახვედრად თბილისიდან დუშეთში გაემგზავრა საქ. განათ. მუშაკთა ერთი ჯგუფი, მაგრამ უკან დაბრუნდა, რადგან დელეგაციის ჩამოსვლას ერთი დღით დააგვიანდა.

გუშინ 17 სექტემბერს დელეგაციას დუშეთში შეეგებენ გან. მუშ. ცენტრ. გამგეობის წევრები ამხ. ამხ. ფანცხავა, გეგენავა და განათლების სხვა მუშაკნი.

დელეგაციას თან ახლავს განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრ. კომიტეტის მდივანი ამხ. აპლეტინი. ავტომობილი, რომლითაც მოდიოდა ამხ. აპლეტინი, დაზიანდა და დარჩა დუშეთში.

თბილისში ჩამოსულმა დელეგაციის ნაწილმა იმოგზაურა მდინარე ვოლგაზე დელეგაციის მეორე ჯგუფთან ერთად, რომელიც სტალინგრადიდან (ყოფილ ცარიცინიდან) დაბრუნდა მოსკოვში.

კავკავიდან თბილისისკენ მგზავრობის დროს დელეგაცია შეჩერდა ორჯერ—ფასანაურსა და დუშეთში.

დელეგაციის შემადგენლობა

დელეგაციის ამ ჯგუფის შემადგენლობაში შედიან შემდეგი მასწავლებლები:

პორტე (პორტუგალიელი, ქ. ლისაბონიდან), ფრანსუა (ფრანგი, პარიზიდან), ვიოლეტი (ფრანგი, პარიზიდან), ბლოუტი (ფრანგი, პარიზიდან), არტინგი (გერმანელი, ლეიპციგიდან), გიურტი (გერმანელი, ბერლინიდან), კარშონი (გერმანელი ბერლინიდან).

დელეგაციაში შედის აგრეთვე მასწავლებელი ქალი ზაუერი (ლეიპციგიდან).

დელეგატების შთაბეჭდილებანი

ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბრის დროს დელეგატებმა განაცხადეს, რომ ლენინგრადში, მოსკოვში და აგრეთვე ყველგან გზაზე—ვოლგის მხრიდან ვიდრე თბილისამდე ისინი ხვდებოდენ გულთბილ დახვედრას და ამხანაგურ მოპყრობას, რამაც, მათივე გადმოცემით, მათზე ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა. ყოველ ქალაქში, სადაც კი დელეგაცია ჩერდებოდა, იგი ათვალიერებდა განათლების მუშაკთა სახლებს, მუშათა კლუბებს და ქარხნებთან არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

დელეგაციის აზრი მის მიერ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში ნახულსა და გაგონილზე, არის შემდეგი:

ახალი თაობის აღზრდისათვის საბჭოთა კავშირში ბევრი რამ არის გაკეთებული. დელეგატები განსაკუთრებით დაინტერესებულან საბჭოთა სკოლებში შემოღებული სწავლების სისტემით, რომელიც მათთვის წარმოადგენს სრულიად ახალ ცდას.

განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება დასტოვეს დელეგატებზე ბავშვთა კოლონიებმა სოფლებში.

დელეგატები, რომელთაც უნახულებიათ მუშათა კლუბები, ბიბლიოთეკები, სახალხო სახლები და სხვა, დარწმუნებულან მასში, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელ ხალხს აქვს განათლების და ცოდნის მიღების განუსაზღვრელი წყურვილი. ამასთანავე დელეგატები დარწმუნებულან მასში, რომ მშრომელ მოსახლეობას საბჭოთა ხელისუფლება მიაჩნია ერთად-ერთ ძალად, რომელიც მისცემს მას ეკონომიურ კეთილდღეობასთან ერთად, ცოდნას და უმაღლეს კულტურას.

ხელოვნება

სიმფონიური კონცერტი

უკანასკნელი სიმფონიური კონცერტის ცენტრალურ ნომერს წარმოადგენდა რიმსკი-კორსაკოვის სიმფონია № 2 „ანტარ", რომელიც პირველად იქნა შესრულებული. ეს სიმფონია წარმოადგენს ერთ-ერთ კაპიტალურ ნაწარმოებს რუსეთის სიმფონიურ მუსიკის ლიტერატურაში. ეს ნაწარმოები შექმნა კომპოზიტორმა ახალგაზრდობის დროს, როცა ახალი რუსული სკოლა გატაცებული იყო აღმოსავლური კოლორიტით. სიმფონიის სიუჟეტს წარმოადგენს უმნიშვნელო თავისი შინაარსით და მხატვრულ ღირებულებას მოკლებული არაბული ზღაპარი, მაგრამ ამ სიმფონიას ღირსებას წარმოადგენს განსაკუთრებული ლამაზი მელოდიური ფორმები და მისი საუცხოვო ინსტრუმენტოვკა თავიდან ბოლომდე აღმოსავლური კოლორიტით.

სტოლერმანმა ძალიან გულდასმით დაამუშავა ორკესტრით ეს ძნელი სიმფონია, განსაკუთრებით კარგად ისმის საორკესტრო [illegible]ებაში სიმფონიის მეორე და მეოთხე ნაწილებში. [illegible] მიგვაჩნია ის [illegible] ნიცკი [illegible] და იშვიათად [illegible] კაპელნიცკი საუკეთესოდ [illegible] ულ მელოდიის „Col Nidrei", [illegible] სავსეა მისტიური შინაარსით, მაგრამ სამწუხაროა კიდევ ის, რომ არტისტი არ ანახლებს თავის რეპერტუარს. სასურველია მოვისმინოთ მისგან ვიოლონჩელის ლიტერატურის სხვა კიდევ უფრო კაპიტალური ნაწარმოებები.

კონცერტი დამთავრდა ჩაიკოვსკის გენიალური პოემით „ფრანჩესკა და რიმინი"-თ, სტოლერმანი საუცხოვოდ ასრულებს პოემის იმ ნაწილებს, სადაც საჭიროა ძლიერი ტემპერამენტი, მაგრამ ლირიულ ნაწილებში საჭიროა მეტი მელოდიური სიღრმე, პოეტური განცდა და დაკვირვება.

პ. ხ.

შემთხვევები

— **ჯიბგირი ქალი.** 15 სექტ. შეიპყრეს ვერა ვასილის ასული იანოვოვა, რომელმაც მეტეხის ქ. მთლიან მუშათა კოოპერატივში არტემ ხაჯაროღუტოვს ჯიბეში ჩაუყო ხელი ფულის ამოსაცლელად.

— **ბანდიტის შეპყრობა.** ყარაიაზის თემ-მილიციის მიერ 11 სექტემბერს შეპყრობილი იქნა ცნობილი ბანდიტი ახმედ კარიმ-ოღლი.

— **ფულის მოპარვა კიდიდან.** 15 სექტ. სალამოს საბაკოს ქ. მდებარე აფთიაქში მოლარე ქალს ელისაბედ მიქაძეს სალაროდან მოპარეს 32 მ.

— **ფანჯარიდან გადაპარვის** საშუალებით 18 სექტ. ალექსანდროვის ქ. № 13 გაქურდეს ფეხსაცმლების სახელოსნო.

— **მორგებული გასაღების** საშუალებით 16 სექტ. მუხრანის ქ. № 26 გაქურდეს ნატალია ტყემალაშვილის ბინა 200 მან. ნივთები.

— ამავე დღეს ჩიხლაძის შესახ. № 5 გაქურდეს აბრამოვის ბინა.

— ამავე დღეს კამოს ქ. № 113 გაქურდეს ისაი ოტკანიანის ბინა.

— **სასადილოს გაქურდვა.** 14 სექტ. ღამით გაქურდეს მე-7 საბავშვო სასადილო.

მუშათა ცხოვრება

ვისი ბრალია?!

(მუშის შენიშვნა)

— გამარჯობა, სანდრო!

— გაგიმარჯოს, ჩემო გიორგი!

— საით მიეჩქარები?

რედაქციაში მივდივარ.

მიუგო სანდრომ.

— ალბად ამ სიფთაზე ვიღაცას უნდა მოსცხო.

— არა! მილიციის უფროსის საყურადღებოდ დავსწერე ერთი წერილი.

— რაშია საქმე, სახლი ხომ არ გაგიქურდეს?

— სახლი კი არა, კაცო, ჩვენ ქარხანასთან, რომ სამიკიტნოა მოთავსებული, მინდა იგი, როგორმე დავაკეტინო.

რადგანაც გამოვდივართ თუ არა ქარხნიდან (ასე გეგონება ქარმა შეაგდოვო) მაშინვე შიგა ვცვივდებით და ხომ იცი ჩვენმა ბიჭებმა თუ თითო გადაჰკრეს, მერე კი ძნელად გამოდევნი იქიდან, მეტადრე ჯამაგირის აღების დროს. ჯიბეები სულ იქ გვიცარიელდება.

მუშა გიორგი მწარედ გაიღიმა და თანაც დაუმატა:—იცი, რა გითხრა, ჩემო სანდრო, „მუხისელებს ძერა წიწილებსა სტაცებდა და ხიდი დაშალეს, ძერა აღარ გადმოვიდეს და წიწილები არ მოიტაცოსო"—ამბობს ძველი ანდაზა ჩვენ, მუშებსაც, სწორედ ასე მოგვდის.

მიკიტნის დუქანში შესვლა თუ არ შესვლა ჩვენს შეგნებაზეა დამოკიდებული. ჩვენ, მუშებმა, უნდა შევიგნოთ, რომ ღვინის სმა ჩვენთვის ბევრნაირად მავნებელია და როდესაც ჩვენ ღვინოს აღარ დავლევთ, მიკიტანიც თავისთავად აიბარგება.

მიუგო გიორგიმ და გაუდგა გზას.

მუშ. ნიკო მკერვალი.

კოოპერატივს უპატრონოთ.

თუთუნის ქარხანა „პროლეტარ"-ში 400-მდის მუშა მუშაობს. ამათგან სამი მეოთხედი დღეში ორ „კრუჟკა" რძეს იღებს: ეს რძე მოდის მუშკოოპიდან, მაგრამ; კვირაში ორი დღე მაინც მჟავე და წამხდარი რძე მოგვდის, რომელსაც ისევ უკან ვგზავნით.

16 სექტემბერს მუშები ურძეოდ დავრჩით, რადგანაც მოტანილი რძე უვარგისი იყო.

მართალია, რძის ნაცვლად კოოპერატივიდან მოიტანეს სამ ფუთნახევარი ყველი მუშებისათვის, მაგრამ ესეც ისეთი აყროლებული აღმოჩნდა, რომ წუწკი კატაც არ მიეკარე[illegible]. ყველი ისევ უკან დაუბრუ[illegible] და მუშები კი დარჩნენ ურძეოდ [illegible] საქმე?

კოოპ[illegible] აყენებენ და პატრონი კი არსაიდან სჩანს.

იქაური მუშა.

რად ხდება ასე?

(საალმშენებლო კავშირის საყურადღებოთ).

25 | 26 სასწავლო წლისათვის ზაჰესის სამშენებლო უბნიდან იყვნენ მოთხოვნილი მუშფაკში გასაგზავნათ მუშები და მუშებს იმედი მიეცათ, რომ პირველ რიგში ღარიბ მუშებს გაგზავნიდენ იქ. მაგრამ მუშებს იმედი გაუცრუვდათ და სამშენებლო კავშირმა კი ისეთი ამხანაგები გაგზავნა, რომლებსაც შეუძლიათ სხვაგანაც სწავლა და რომლებიც არიან ყოვლად უპატრონო არასმქონებლები და მასთან ობლები, ისინი კი არ იქნენ გაგზავნილი მუშფაკში.

განათლების კომისარიატო, მიაქციე ჯეროვანი ყურადღება.

ზაჰესის მუშა რუბენ რაზმაძე.

გამოგზავნილი წერილებიდან

[illegible]

აბასთუმნის 1 სანატორიუმი ისე კარგად არის დაყენებული ყოველმხრივ, რომ იქ მოხვედრილი მოურჩენელი ავადმყოფიც კი უნდა გაჯანსაღდეს.

ა-ლიხელი.

„[illegible] და [illegible] შევეყარეთ"-ო.

მე-6-ე და მე-7-ე შეერთებულ უბანში კახეთის და ალავერდის ქუჩ. შუა წყლის სადენ ონკანში ძველი წყლის მიმცემისაგან ხომ იყო შეწუხებული ხალხი და ახლა კი სხვა თანამშრომელი დანიშნეს, მაგრამ ეს უკანასკნელი პირველზე უარესი გამოდგა.

ალ. ბ—ლი.

წითელი ყაზარმა—მეცნიერების სკოლაა.

წითელი ყაზარმა მუშა და გლეხის შვილებისათვის წარმოადგენს წითელ სკოლას, სადაც ისინი იძენენ პოლიტ.-ცოდნას, ეცნობიან და სისტემატიურად ესწრებიან ლენინის კუთხეს. აქვე არსებობს კომუჯრედი, სადაც ყოველი ახალგაზრდა სიხალისით მუშაობს. ყოველ შაბათსა და კვირას წითელი ლაშქარი კლუბებში დაიარება.

წით. არმ. შ. კვლეიძე.

ასეთი მუშაკი მადლობის ღირსია.

ბარის თემის (რაჭის მაზრა) აღმასკომის თავმჯდომარე არ. ქიქინაძემ თავის ენერგიული შრომით აქამდის ჩამორჩენილი თემი წინ წასწია! გაიყვანა გზა-ტკეცილები, ააგო ხიდი (რიონზე); გახსნა კოოპერატივი, ქოხ-სამკითხველო, სკოლა და სხვა.

მუშა ე. ლომთაძე.

აქ კულტმუშაობა მოიკოჭლებს.

წ./წ. სექტემბრიდან ამხ. ლადო სუხიშვილის სახელობის კლუბში მუშაობა ძალიან ზანტად მიდის. ხშირად კლუბი დაკეტილია. თუ კინოსურათებს აჩვენებენ—უვარგისებს და უმუსიკოდ, რაც მაყურებელზე ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს.

საჭიროა ამ კლუბის გამოცოცხლება.

გვ—ძე.

მუშათა ქრონიკა

— **ხახარატო ჩარხი.** სად. შორაპანის საწარმოო თათბირმა მიმართა მე-8 უბნის საოსტატოს მოაწყოს [illegible] მთავარ სახელოსნოში სახარატო [illegible].

— [illegible] მართა ადმინისტრაციას გასცალოს [illegible] ნავვისაგან საფარეხოში [illegible] გონები და გამოიყენოს იგი წარმოებაში.

— **აღრიცხვა.** ხაშურის საუბნო პროფკავშირმა გამოყო კომისია, რომელსაც დაევალა გამოარკვიოს აღრიცხვის საშუალებით იარაღების ნაკლულევანება სახელოსნოებში.

— **გადასინჯვა.** ხაშურის საუბნო პროფკავშირმა დაადგინა მოახდინოს სანარდო სამუშაო გეგმის გადასინჯვა.

— **შეღებვა.** სალიანდაგო სამსახური შეუდგა ქიათურის შტოზე ნიშანსვეტების და სიდგების შეღებვას.

— **დასრულდა.** ბაქოს საუბნო პროფკავშირის ცნობით ამჟამათ მთელს უბანში დასრულდა სასკოლო შენობათა შეკეთება.

— **სპეც-ტანისამოსი.** ბაქოს საუბნო პროფკავშირმა მიმართა სამმართველოს დაურიგდეს დეპოს მუშებს კუთვნილი სპეც-ტანისამოსი.

მომავალი წლის აღწერის მოლოდინში

მიმდინარე წლის 15 სექტემბერს საქართველოს სტატისტიკურ სამმართველოში შესდგა პირველი საორგანიზაციო კრება სრულიად საკავშირო აღწერის სააგიტაციო-საპროპაგანდო კომისიის. კომისია შესდგება შემდეგ დაწესებულებათა და ორგანიზაციების წარმომადგენლებიდან: საქართველოს კომპარტიის აგიტპროპის, ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, პროფკავშირთა საბჭოს, გაზ. „კომუნისტის" რედაქციის და ახ. ლ. კომკავშირის ცეკასაგან.

კომისიაში მოწვეულნი არიან თანამშრომლებათ 3 | მ. მდივანი და ერთი მუდმივი პროპაგანდისტი.

ამგვარი პრინციპითვე შეიქმნება ამიერ-კავკასიის და საქართველოს ავტონომიურ ოლქებსა და რესპუბლიკებში ასეთივე კომისიები.

კომისიის მიზანია აწარმოოს ფართო პროპაგანდა და მოამზადოს ნიადაგი მომავალ სასოფლო-სამეურნეო აღწერისათვის, რომელიც უნდა ჩატარდეს 1926 წლის განმავლობაში. ამიერ-კავკასიის სტატისტიკურ-პროპაგანდის კომისიას მუშაობა უკვე რამოდენიმე თვეა დაწყებული აქვს. საქართველოს ცენტრალურ სტატისტიკურ-პროპაგანდის კომისიაც შეუდგა მუშაობას.

პირველ რიგში გაბმული იქნება მჭიდრო კავშირი პროვინციასთან,—პერიფერიის ყველა მნიშვნელოვან პუნქტებთან, რომ კამპანიას არ გამორჩეს არც ერთი შორეული კუთხე. გლეხთა ფართე მასსა შეგნებულად უნდა შეხვდეს ამ აღწერას, რომ ადგილი არ ექნეს იმ ყალბ შემთხვევებს და მალულობას, რომელიც მჟღავნდებოდა წარსულ ნაწილობრივი აღწერების დროს.

ამის ასაცილებლათ კი საჭიროა ფართო პროპაგანდა-აგიტაცია და გლეხების დაახლოებით გაცნობა აღწერის უდიდეს საზოგადოებრივ მნიშვნელობასთან.

ამ მხრივ აღწერის საპროპაგანდო კომისიას ვალათ აძევს—საქმის მოგვარება და ნიადაგის მომზადება მომავალ აღწერისათვის.

კომისია პროპაგანდას აწარმოებს, როგორც კრებებზე და მიტინგებზე, ისე პრესაშიც და გამოსცემს ცალკე ბროშიურებს ამ საკითხის შესახებ.

ერთი პოპულიარული წიგნაკი ამ საკითხზე უკვე იბეჭდება ამიერ-კავკასიის ყველა ენებზე, რომელიც (როგორც სხვა მომავალი გამოცემები) გავრცელებული იქნება ყველა კუთხეების ფართე მასებში. აუცილებლათ საჭიროა, რომ ამ აღწერის პროპაგანდის საქმეში ჩაებნენ პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციები, რომ მათი უშუალო მონაწილეობით ცენტრალურმა საპროპაგანდო კომისიამ შესძლოს თავის მიზნის და მოვალეობის შესრულება.

გ.

---

15 სექტემბერს ონიდან ქუთაისამდე

დაიკარგა სხვადასხვა დოკუმენტები,

სახელდობრ:

1. მოწმობა ამხ. ფ. მახარაძის სახელზე, ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე უფასოდ მოგზაურობისა, მიცემული ამიერ-კავკასიის ცაკისაგან

2. დიდი რვეული, რომელშიაც მოთავსებულია დახარჯული ფულის ანგარიში სვანეთში მოგზაურობის დროს სხვადასხვა საჭირო დოკუმენტებით. 3. უბის წიგნი.

მპოვნელს ვთხოვთ წარმოადგინოს ან გამოგზავნოს თბილისში საქართველოს ცაკის პრეზიდიუმში, იქნება შესაფერისად დაჯილდოვებული.

ცაკის საქმეთა მმართველობა.

კბილის ექიმთა ყრილობა

მესამე სხდომა

მეორე დღის დილის და საღამოს სხდომებზე მოსმენილ იქნა სპეციალური მოხსენებები კბილის მკურნალობის სხვადასხვა საკითხებზე, განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო მოხსენება

ახალი მიღწევები კბილის ექიმობაში

(მომხსენებელი პროფესორი ახტანოვი)

მომხსენებელმა ყრილობას გააცნო ახალი გამოკვლევებით კბილის ავადმყოფობის შესახებ. მან დაამტკიცა, რომ კბილების, ხახას, ღრძილების და სხვა ნაწილების დაავადმყოფება მჭიდროთ არის დაკავშირებული მთელი ორგანიზმის საერთო მდგომარეობასთან. კბილის ავადმყოფობა უმთავრესად გამოწვეულია ორგანიზმის საერთო დაავადებით და სისუსტით. აგრეთვე არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს კბილების ჯანმრთელობისათვის მემკვიდრეობას, ორგანიზმის ანატომიურ აგებულებას და სხვას.

მოხსენებამ მსმენელთა შორის გამოიწვია დიდი ინტერესი. ყრილობამ დაადგინა დიდი სამეცნიერო ღირსების გამო მოხსენება გამოცემულ იქნეს ცალკე წიგნად.

მეოთხე სხდომა

მეორე დღის საღამოს სხდომაზე გაკეთებულ იქნა კიდევ რამოდენიმე მოხსენება, რომელთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვია მოსკოვის კბილის მკურნალობის ინსტიტუტის გამგის დოქტორ ევდოკიმოვის მოხსენებამ (გრანულემების შესახებ) და კბილის ექიმ ტოტვენის მოხსენებამ კბილის მკურნალობის დარგში რენტგენის სხივების გამოყენების შესახებ.

მოხსენებებს თან ახლდა მთელი რიგი სურათების და ილიუსტრაციების დემონსტრაცია.

ა.-კავკ. ფინანსთა სახ. კომისარიატი

ამით აცხადებს ყველას საყურადღებოთ, რომ საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატის დადგენილებით

სახელმწიფო მეორე მოგებიანი სესხის მოგებათა **მეოთხე ტირაჟი**

მოხდება ქ. თბილისში ა. წ. 15—20 სექტემბრამდე

ამ ტირაჟზე იქნება 9138 მოგება 750.000 მანეთის რაოდენობით

მოგება განაწილებულია შემდეგ ნაირად:

6	მოგება	5.000	მანეთი	სულ	30.000	მან.
93	„	1.000	„	„	93.000	„
105	„	500	„	„	52.000	„
2556	„	100	„	„	255.600	„
6378	„	50	„	„	318.900	„

მოგებათა ტირაჟი გაიმართება სახელმწიფო აკადემიურ ოპერის დარბაზში

შესვლა ყველა მოქალაქეთათვის უფასოა.

ბ. 1677 10—8

სოფელი

საუბარი გზის პირას

მზე უკვე გადახრილი იყო, რომ ონიდან მომავალი დარისპანი მოუახლოვდა თავის სოფელს. გზაზე მას შორეული ნაცნობი პეტრე შემოეგება. გლეხები ერთმანეთს მხურვალეთ მიესალმენ. შემდეგ იქვე ჩამოსხდენ ქვაზე. დარისპანმა ამოიღო ჩიბუხი, გამოართვა პეტრეს ქისა და აავსო ჩიბუხი თუთუნით. ჩამოჰკვესა ტალკვესი, მოუკიდა თუთუნს, ერთი გააბოლა და დაიწყო:

— შარშან, ჩემო პეტრე, სპირიდონის ძროხა შესულიყო ჩემს ყანაში. დამიძახეს—„ყანა გიფუჭდებაო", გავიქეცი. გაჯავრებულმა წინ-საბიჯნი ჯოხი მოუქნიე. ჩემდაუბედურად ჯოხი შიგ საფეთქელში მოხვდა და ძროხა უსულოთ ძირს დაეცა. მეზობელი გადამემტერა, მოკვლას მიპირებდა. დიდხანს ვერიდებოდი. ამ ზაფხულზე მიჩივლა: დაგვიბარეს სასამართლოში.

აშენდა ონის მოსამართლის ოჯახი; ძლიერ კარგი მოსამართლე ყოფილა; მეზობლების ჩივილი და გადამტერება არ იქნებაო, თქვენ ერთმანეთს უნდა პატივსცემდეთო; სულ მარგალიტები ამოსდიოდა პირიდან, იმდენი ილაპარაკა, რომ ორივე შეგვარიგა. მოკლულ ძროხაში ჩემი ძროხა მივეცი; საუცხოვო და კარგი მოსამართლეა ჩვენი ირაკლი. ორი სამი რომ გვყავდეს იმისთანა, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაყეფდა.

გლეხი ა. გ—ძე.

ყარალაჯული მკითხავი

სამი საათი იქნებოდა, რომ სახლიდან გამოვედი. მშვიდი ღამე იყო. ფერმიხდილი ვარსკვლავები უკვე მოახლოვებულ განთიადს ესალმებოდა. ჩქარის ნაბიჯით მივეშურებოდი სადგურ გრაკალისკენ.

უცებ, გზის მარცხნივ, ხმაურობა შემომესმა. შევდექ...—ამხანაგო, ყარალაჯამდის შორს არის?—გადმომძახა ვიღამაც. ერთი ვერსი არ იქნება, ვუპასუხე შეკითხვაზე. ცნობის მოყვარეობამ გამიტაცა და მიუახლოვდი უცნობებს, სალამი მივეცი.

ორნი იყვნენ ნერგის ქვეშ წამოწოლილნი და, როგორც ეტყობოდათ, გათენებას ელოდნენ.—საიდან და რისთვის გასჯილხართ?

ფლავისმანელები ვართ ყარალაჯაში მივდივართ მკითხავთან, ავადმყოფების პატრონები ვართ. ძალიან სახელი გაითქვა მაგ მკითხავმა ჩვენსკენ.

მთელი საათი ვებაასე: მინდოდა როგორმე დამერწმუნებინა, რომ მათი მოცდენა და წვალება უსაფუძვლო იყო, მაგრამ ამაოდ.

ავდექ... გამოვეთხოვე. მწარე სინამდვილემ სული შემიხუთა. ერთი საათის შემდეგ უკვე ბორჯომის მატარებელში ვიჯექ და თბილისისაკენ მივრახრახებდი.

ჩემი ფლავისმანელი, მეგობრები უკვე ყარალაჯში იქნებოდენ და ალბად მკითხავის ბოდვა-ყმედობას მოწიწებით უგდებდენ ყურს.

ორმოცდახუთი ვერსის მანძილზე წამოსულან და შვებას ხატ-მკითხავებისგან მოელიან.

ყარალაჯი საკმაოდ მოზრდილი სოფელია, აქ მცხოვრებთა უმეტესობა რკინისგზის მუშა-მოსამსახურეებია. ამისთანა წრეში და ასეთ დროს „სახელ განთქმული მკითხავს ადგილი არ უნდა ჰქონოდა აქ.

ხოვლელი.

წერილებიდან

— **როდის მოარჯულებთ ამ გათავხედებულ მოიჯარადრეს.** სასტუმრო „ორიანტი"-ს გამგე მოქ. აბაშიძე ცნობილია თავისი უხეშობით და უდიერობით მუშების მიმართ. ამ დღეებში მან სრულიად უბრალოდ დაითხოვა ერთი მოსამსახურე და მის ნაცვლად ამუშავებს სასტუმროს დარაჯებს. გასამრჯელოს კი ზედმეტს მათ არ აძლევს.

დროა ამ მოიჯარადრეს ადამიანობა შევასწავლოთ.

მუშა—ციცენი.

„დამრტყმელი ბიჭები" სამტრედიის კლუბში. იშვიათად ჩაივლის აქ საღამო, რომ ვინმე არ გაილახოს და აურ-ზაური არ იქნეს ატეხილი. ამას წინათ ცნობილ „დამრტყმელ" ყმაწვილებმა ილია დუნდუამ და ქიშია მექერიამ ტყუილ უბრალოთ სცემეს ერთ ახალგაზრდას.

ნაგანი.

— **ჭერი თავზე გვექცევა.** ყოფ. ერმოლოვის ქუჩა სახ. № 7 ეკუთვნის ალმასკომს. ეს სახლი ივნისში შეკეთებული იქნა, დარჩა შეუკეთებელი ჭერი. ამ სახლის ერთი ოთახის ჭერი მეტად დაზიანებულია და იქ მყოფ საბჭოთა მოსამსახურის ოჯახს ხიფათი მოელის.

შეაკეთეთ ჭერი აუცილებლად!

მუშკორი ლომისელი.

— **მოსვენება არა გვაქვს ამ ავადმყოფისაგან.** 1-ლ ნაზარეველის ქ. სახ. № 9-ში ვინმე **გაგნიძესთან** ცხოვრობს სულით ავადმყოფი მისი ნათესავი ქალი, რომელიც დღე და ღამ მოსვენებას არ გვაძლევს.

ჯანსახკომო! მოათავსეთ ავადმყოფი სავადმყოფოში!

მუშა სტგილთ.

სოფლის ქრონიკა

— **მოჯამაგირეთა შორის.** სოღანლუღში შესდგა კომისია სამი მოჯამაგირეთა და სამი დამქირავებელთა წარმომადგენლებისაგან მოჯამაგირეთა ხელფასის გამოსამუშავებლად.

— **მანქანების შეძენა.** სურამის გლეხკომმა შეიძინა თბილისში პურის საცხრილავი მანქანა და ეხლა აწარმოებს მოლაპარაკებას მიწმოქ. კომისარიატთან ტრაქტორის შესაძენად.

— **დახმარება გლეხკომს.** ახალქალაქის ალმასკომმა სამაზრო გლეხკომს გადასცა 700 მანეთი თავის მუშაობის გასაძლიერებლად.

— **საქონლის ჭირი.** ახალციხის ალმასკომმა აკრძალა ოსმალეთის საძოვრებიდან საქონლის გადმოდენა ჭირის გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

— **სიძვირესთან ბრძოლა.** ახალქალაქის ალმასკომმა დაარსა კომისია, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს ბაზარზე ფასების მოწესრიგებას და ებრძოლოს სიძვირეს.

— **ბათომში** ამ დღეებში გაიხსნება ტრაქტორზე მომუშავეთა მოსამზადებელი კურსები, რომელზედაც ისწავლიან 25 გლეხი.

სოფლის ფოსტა

ტალღიშვილს (ანაკლია). თქვენი წერილი გადაეგზავნა სატყეო ტრესტის გამგეობას.

დ. ღ.-ს (ქუთაისი). წერილი გადავეცით „განათლების მუშაკის" რედაქციას.

ბიბლიოგრაფია

სოფლის კომუნისტი № 3

ჟურნალს წინა ნომრებთან შედარებით საგრძნობი გაუმჯობესება ეტყობა. საკითხების შერჩევის და გაშუქების მხრით საინტერესოდაა შედგენილი.

ჟურნალი იხსნება ამხ. მიხ. კახიანის სახელმძღვანელო წერილით: **„პარტიის პოლიტიკა სოფლად მუშაობაში".** ავტორი განმარტავს პარტიის ახალ კურსს სოფლის მიმართ სამეურნეო და ადმინისტრატიულ-პოლიტიკურ სფეროში.

ჯერ კიდევ გასული წლის ოქტომბერში ჩვენი ცეკას პლენუმმა მიიღო მთელი რიგი დადგენილებანი სოფლად მუშაობის შესახებ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ დადგენილებებიდან (26 მუხლი) ბევრი რამ არ ტარდება ცხოვრებაში. არა ყველა ამხანაგს აქვს შეთვისებული ჩვენი ახალი პოლიტიკა. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი ნაბიჯებია ამ მხრივ გადადგმული. გლეხობა იჩენს თვითმოქმედებას, აქტივობას და ეს მისი გამოცოცხლება „შემოდის ჩვენი საერთო საბჭოთა ფარგალში" მაგრამ გასაკეთებელია გაცილებით უფრო მეტი. და აქ ნამდვილი ხელმძღვანელობის განხორციელება თავი და თავი. ამხ. კახიანი სამართლიანად ამბობს: „უნდა იცოდე გლეხობისადმი მიდგომა, საჭიროა მისი ფსიქოლოგიის შესწავლა, მაინც და მაინც არ უნდა ჩქარობდე და შენ საკუთარი განწყობილება არ უნდა ასაღებდე, როგორც გლეხის სურვილებს და განწყობილებას. ვითარების გაუთვალისწინებლობა და სიჩქარე საშიშარი საქმეა, განსაკუთრებით გლეხურ საკითხში. საჭიროა გულდასმითი ახსნა-განმარტება, დინჯად მუშაობა; ყოველი ადგილობრივი საკითხი მასსებთან, ადგილობრივი მოსახლეობასთან ერთად უნდა წყდებოდეს".

უაღრესად საყურადღებოა ამხ. ვ. ბახტაძის **„სოფლად პარტიული მუშაობის მთავარი ამოცანები".** მტკიცე და ურყევი კავშირი გლეხობასთან; სოფლისათვის ნამდვილი ხელმძღვანელობის გაწევა; სოფლის კომუნისტის კულტურულ-პოლიტიკურ დონის ამაღლება და გაფართოება,—ასეთია ეს ამოცანები.

ჩვენი სოფლელი კომუნისტი ნაკლებ ყურადღებას აქცევს თვითგანვითარებას. ბევრი გაზეთებსაც იშვიათად კითხულობს. უბრალო წერა-კითხვის უცოდინარიც ბლომად მოიპოვება. მხოლოდ მაშინ შესძლებს სოფლელი კომუნისტი ხელმძღვანელობის გაწევას გლეხობაზე; როცა იგი მეზობელ უპარტიო მასსაზე მაღლა იდგმება თავის პოლიტიკურ და კულტურულ დონით. ამასთან უდიდესი მნიშვნელობა აქვს მის მორალურ მხარეს, პატიოსნებას, ყოფა-ცხოვრებას; ამ მხრივ იგი სამაგალითო უნდა იყოს გლეხობისათვის. აგრეთვე თავისი მეურნეობის კარგად დაყენებით (თუ გააჩნია ასეთი) და საზოგადოებრივი მოღვაწეობით გზის მაჩვენებელი უნდა იყოს დახარჩენი მოსახლეობისათვის. მხოლოდ ასეთ ამხანაგს შეუძლია ნდობა და გავლენა მოიპოვოს გლეხობაში.

ამხ. ბახტაძე შემდეგ ეხება ადგილობრივი მოსახლეობასთან კომუნისტების დაკავშირების ფორმებს. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭება უჯრედების ღია სხდომებზე უპარტიო აქტივის მოწვევას, უჯრედების სხდომების სათანადოდ მომზადებას, მათზე სოფლისათვის საჭირბოროტო საკითხების წამოყენებას, დამსწრეთა უპარტიოებისადმი თავაზიან მოპყრობას და სხ.

უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს კომუნისტების მუშაობას საზოგადო და სახელმწიფო ორგანიზაციებში (კერძოდ საბჭოებში), სადაც ისინი პირდაპირ ხვდებიან უპარტიო გლეხობას. აქ ჩვენი ამხანაგების საქმიანობა დღემდე საგრძნობლად მოისუსტებს.

ამხ. ბახტაძის წერილი საყურადღებოა ყოველმხრივ და მას კარგად უნდა ჩაუკვირდენ ადგილობრივი მუშაკები.

ამხ. ა. დოლიძის წერილი: **„რელიგიური ტრადიციების და სოფლის კომუნისტები"** დაბეჭდილი იყო გაზეთებში. მაგრამ მისი მოთავსება ჟურნალში მაინც ზედმეტად არ ჩაითვლება. ეს მეტად საჭირბოროტო საკითხია სოფლის პირობებში და აქ ადგილობრივმა ამხანაგებმა უნდა გამოიჩინონ სათანადო სიფრთხილე. ამხ. დოლიძის წერილი, თუმცა იგი კამათის წესითაა დაბეჭდილი, ჩააფიქრებს სოფლის მუშაკებს და შეაგნებინებს მათ ამ სიფრთხილის საჭიროებას.

მას მისდევს ამხ. გ. მუშიშვილის წერილის გაგრძელება: **„საერთაშორისო მდგომარეობის ძირითადი მომენტები"** (მე 2: გერმანიის დაუესიზაცია. ინგლის-ამერიკის დაპირისპირება).

ამხ. ს. ალიანი „სოფლად რევოლუციონურ კანონიერების განმტკიცების შესახებ"-ში განმარტავს ამ კანონიერების შინაარს, საბჭოთა კანონების ცოდნის საჭიროებას არა მარტო ხელისუფლების ორგანოების, არამედ ყველა მოქალაქეთა მიერ, ეხება იურიდიული დახმარების მოწყობას სოფლად, პროკურატურის, სოფლის კორესპონდენტების, სახალხო სასამართლოების და პარტუჯრედების როლს კანონიერების განმტკიცების საქმეში.

ამხ. კ. გორდელაძე წერილში **„პარტიულ-განმანათლებელი მუშაობა სოფლად"** აღნიშნავს ამ სფეროში ჩვენს წინაშე მდგარ ამოცანებს, კერძოდ ეხება ამ მხრივ პოლიტცოდნის მოძრავი სკოლების მნიშვნელობას. შემდეგ მოთავსებულია ამხ. ა. პაპავას **„გლეხთა ინტერნაციონალი და მისი მნიშვნელობა"**, რომელშიაც ავტორი ეხება მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცების მნიშვნელობას მსოფლიო მასშტაბით და განმარტავს გლეხთა ინტერნაციონალის შინაარს და მიზნებს.

ამხ. გ. ძირაშვილი ეხება „აღმზრდელობითი მუშაობას კიმკავშირის სოფლის უჯრედებში".

„ადგილობრივი ცხოვრება"-ში მოთავსებულია ამხ. ა. ურუშაძის და სხვათა წერილები, რომლებშიაც მოცემულია, ინფორმაციასთან ერთად, ადგილობრივი მუშაობის გამოცდილება სხვადასხვა საკითხებზე.

ჟურნალი თავდება ბიბლიოგრაფიით ორ წიგნაკზე (აბელ ენუქიძე, ს. ს. რ. კ. მესამე ყრილობის შედეგები და ზურაბ მგალობლიშვილი: ჭიათურის შავი-ქვის კონცესია).

როგორც ვხედავთ, ჟურნალი მრავალფეროვან მასალას შეიცავს და ეხება სოფლისათვის საჭირ-ბოროტო საკითხებს.

რამდენიმე სიტყვა ჟურნალის ენის შესახებ. გაზ. „მუში"-ს (№ 847) ბიბლიოგრაფიული შენიშვნის ავტორი, სხვათა შორის წერს: „ჟურნალს აქვს ერთი ნაკლი. სულ ცოტა ყურადღება აქვს მიქცეული ენას. არის ადგილები ზოგიერთ წერილებში, სადაც ქართული პირდაპირ ჯვარზეა ნაცვამი. ეს უსათუოდ უკარგავს ამ ყოველმხრივ საჭირო და სასარგებლო წიგნს ფასს სოფლის მკითხველისათვის".

აქა-იქ ჟურნალი ენის მხრივ რამოდენიმედ მაიკლებს, მაგრამ ცალკე ნაკლულევანებათა განზოგადოება და იმის თქმა, რომ ჟურნალს თითქო ფასი ეკარგებოდეს სოფლის მკითხველისათვის, დიდი გადაჭარბებაა, მეტი რო არა ვსთქვათ. **საერთოდ** ჟურნალი გასაგები და სწორი ენითაა შედგენილი. მხოლოდ შემდეგისათვის საჭიროა ენისათვის მეტი ყურადღების მიქცევა.

X.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— სახელმწიფო უნივერსიტეტის და ქართულ მუშფაკის გაერთიანებული კომუჯრედების ბიურო იცხადებს, რომ პარასკევს 18 სექტემბერს ქართულ მუშფაკის შენობაში, საღამოს 5 საათზე შესდგება სახელმწიფო უნივერსიტეტის და ქართულ მუშფაკის კომუჯრედების გაერთიანებული მორიგი კრება. ყველა წევრები და კანდიდატები უნდა გამოცხადდენ დაუგვიანებლად.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსენალის რაიკომი იტყობინება, რომ შაბათს, 19 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე შესდგება არსენალის რაიონის უჯრედთა მდივნების თათბირი, (რაიკომის ბინაზე).

სავალდებულოა უჯრედთა მდივნების გამოცხადება დაუგვიანებლად.

მდივანი: მელაძე.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ უჯრედების მდივნებს გამოცხადდენ 19 სექტემბერს დილის 10 საათზე რაიკომში:

გრაევსკი—ა | კ. კომ. უნივერ., გუსტირი—სახელ. პოლიტექნიკური ინსტიტუტი ხაჭაპურიძე—ცენტრალური პარტსკოლა, მთვარელიძე—საბჭოთა პარტიული სკოლა, ჭიასეცკი—რუსული მუშფაკი, ღოღობერიძე—ქართული მუშფაკი, ხაჩატუროვი—სომხური მუშფაკი, ზუნდაძე და ოდილავაძე—სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ამხ. ცხაკაიას კი წინადადება ეძლევა შეიაროს რაიკომში ამხ. აკოპოვთან 18 სექტემბერს, დილის 11 საათზე.

რაიკომის პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ: სტ. აკოპოვი.

განცხადებები

დედა—მინადორა და დები—ანა და თეოდოსი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა | წ. 19 სექტემბერს სოფ. უშაფათში (სენაკის მაზრა) გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ საყვარელ და ძვირფას

დიმიტრი (კიჭი) ივანეს-ძე
ქუჩულორიას

გარდაცვალებიდან მეორმოცე დღის აღსანიშნავათ

2520 1—1

დამწუხარებულნი—ძმა—დიომიდე ქუჩულორია, რძალი ლუბა გეგეჭკორი-ქუჩულორიასი აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ა | წ. 19 სექტემბერს სოფ. უშაფათში (სენაკის მაზრა) გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ საყვარელ და ძვირფას ძმის

დიმიტრი (კიჭი) ივანეს-ძე
ქუჩულორიას

გარდაცვალებიდან მეორმოცე დღის აღსანიშნავად

2520 1—1

ბიძა—დომენტი ქუჩულორია, ბიცოლა ანგულინა და ბებია—სალომე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა | წ. 19 სექტემბერს სოფ. უშაფათში (სენაკის მაზრა) გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის საყვარელ და ძვირფას

დიმიტრი ივანეს ძე ქუჩულორიას

გარდაცვალებიდან მეორმოცე დღის აღსანიშნავად

2520 1—1

ეკატერინე ლევანის ასული, ელენე ივანეს ასული და ივანე ლევანისძე შვილებით და ალექსანდრე ლევანისძე ჩერქეზიშვილები ამით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 17 სექტემბერს გარდაიცვალა დაუვიწყარი მათი დედა

დარია ალექსანდრეს ასული
ჩერქეზიშვილისა

პანაშვიდი საღამოს 6 საათზე გარდაცვალებულის ბინაზე (ალექსეევის ქ. № 8) გასვენება ნიკოლოზის სასაფლაოზე, კვირას 20 სექტემბერს დილის 11 საათზე. 1-1 2528

ლევან ლევანისძე ჩერქეზიშვილი, ნინო ლევანის ასული და გიორგი ბეჟანისძე გვაზავა შვილებით, ეკატერინე ალექსანდრეს ასული და მიხეილ გიორგისძე ერისთავი და თამარა ალექსანდრეს ასული აბაშიძისა ამით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 17 სექტემბერს გარდაიცვალა დაუვიწყარი მათი—მეუღლე, დედა და და

დარია ალექსანდრეს ასული
ჩერქეზიშვილისა

პანაშვიდი განსვენებულის ბინაზე (ალექსეევის ქ. № 8), საღამოს 6 საათზე დასაკრძალავად გამოსვენება ბინიდან ნიკოლოზის სასაფლაოზე, კვირას 20 სექტემბერს, დილის 11 ს. 1-1 2328

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე სოფიო, ქალიშვილი თამარა, ძმები: იასონ, ფილიპე, ნესტორი, რძლები: ბარბალე, კატო და ანა, ძმის შვილი ვანო, ცოლის ძმის შვილი გოგი ბასილაია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ, რომ მათი დაუვიწყარის

სიმონ ივანეს ძე ჯორბენაძის

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის აღსანიშნავათ, ვერის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი, კვირას 20 ამა სექტემბერს, დღის 12 საათზე. 1-1 2516

შვილები ნატალია კიკნაძისა, ალექსანდრა, ელენე, სერგო და ივანე ორჯონიკიძეები, რძალი ქეთევანა ორჯონიკიძისა, შვილიშვილები ანნა ლორთქიფანიძისა, ალექსანდრე და დავით კიკნაძეები, რძალი მარიამ კიკნაძისა და სიძე ალექსანდრე ლორთქიფანიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათთვის დაუვიწყარი დედის და დიდედის

ანნა ზაალის ასულის
ორჯონიკიძის

გარდაცვალების ექვსი თვის თავზე ქ. სურამში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი, კვირას ა. წ. 20 სექტემბერს. 1-1 2519

გამოვიდა და იყიდება

ყველა მეგაზეთეებთან და კიოსკებში საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან არსებულ ინჟინერ ტეხნიკოსთა ცენტრალურ ბიუროს ყოველთვიური ტეხნიკური ჟურნალი

ტეხნიკა და ცხოვრება

სარჩევი

- **ინჟ. ლ. დიასამიძე**—ახალი წყალსადენის საკითხი თბილისში.
- **ინჟ. ბ. ჟიჟინაძე**—შვედეთის სახელმწიფო ჰიდრო-ელსადგურები.
- **ინჟ. ვ. კაკაბაძე**—ქიმიური მრეწველობის მნიშვნელობა და მისი პერსპექტივები საქართველოში
- **ინჟ. ვ. ფელდტი**—ჭიათურის შავი-ქვის გადაზიდვისათვის.
- **ინჟ. ნ. ლეჟავა**—ტეხნიკოსის თანამედროვე ამოცანები.
- **ინჟ. მ. ჯაში**—სექტორული სისტემის კაშხალი.
- **სპ. ჩომახიძე**—სამრეწველო კოოპერაცია და შინამრეწველობა საქართველოში.

მეცნიერება და ტეხნიკა, პროფესიონალური ცხოვრება, ქრონიკა, ტერმინოლოგია და სხ.

შემდეგი №-ისთვის გადაიდო წერილები: ტ. სპრინკვლის „საქართველოს ნავთსადგურები და სანაოსნო მდინარეები", ინჟ. ი. ანდრონიკაშვილის—„საქართველოს რესპუბლიკის გზები, მათი მდგომარეობა და პერსპექტივები". გ. ჩ.—„გზების მოწესრიგებისათვის" და სხ.

ცალკე № ფასი 60 კაპ.

ნის. 1730—1—1

ა-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო

1. აქვს საწყობში მომავალ სათესლო სასოფლო-სამეურნეო სეზონისათვის შემდეგი სასოფლო-სამეურნეო მანქანები:

რუდოლფ საკკის უნივერსალური (ორიგინალური) გუთნები:

დ 10 S №	55 მ.
დ 8 S №	49 მ.

დისკოიანი ფარცხები:

მელიხარ-უმრატის და რ. საკკის 11 დისკ.	125 მ.
რ. საკკის 8 დისკოიანი 145×71×33 სმ.	115—
სახნისი ეკკერტის და საკკის გუთნისათვის	
ტრაქტორები 25 ძალიანი ვ. დ. (ნავთით მომუშავე)	6900 მ.
დისკოიანი სათესები: ეკკერტისა 13 დისკოიანი	880 „
მილიხარ-უმრატის 11 დისკოიანი	370 „
სიმინდის საფშვნელი „ბოდენია".	65—165 „
ხელით სახმარი საფშვენი „გენრიხ ლანცის"	106—60 „

ხორბლის სარკევი მანქანები:

გეიდის У კლასის № 3	280 მ.
მაიერის У კლასის № 2	225 „
კრიუგერ მაიერის	225 „
ხელით სახმარი საფქვავები მარცვლეულისათვის	10 „

საბაღო ინვენტარი: ბაღის დანები, სანამყენე დანები, ვენახის სამსხლავი მაკრატლები, საბაღიო ხერხები, ხმელი ტოტების საჭრელი.

მეფუტკრეობის ხელსაწყოები: ხელოვნური ფიჭის (ცვილის) დასამზადებელი მორგვები, სანთლის სადნობი და მათი სათბური, დანა-ჩანგლები ფიჭის ამოსაჭრელად, გადასაყოფი „რეშოტკები", დასადგმი საკვებისათვის, ცინკიანი მავთული, საჭვრეთლები და სხვ.

სეპარატორები: „ალფა-ლავალი" 5-დან 50 ვედრომდე საათში 75 მ. 50 კაპეიკიდან 365 მანეთამდე.

გერბერის აპარატები, რძის ღირსების შესამოწმებელი საზომები (ტერმომეტრებით), სიმჟავეთა საზომები, ბოლო მახვილი შუშის მილები სიმჟავეთა, რძისა და პურის არყის სპირტისათვის, პურის არყის სპირტი და სხვ.

ფორდზონის ტრაქტორების სათადარიგო ნაწილები.

2. სექტემბრის, ოქტომბრის განმავლობაში მიღებულ იქნება:

ზეთის სამზადებელი მანქანები „ვიკტორია", ტრაქტორები „ფორდზონ", შვედური სანავთე ტრაქტორები „ავანს", იტალიური ტრაქტორები „პავეზი", გერმანული „ზემლეროზ", ამერიკული „კეის" „ინტერნაციონალ" და სხვ.

ფოლადის სამთითები სამ და ოთხ კბილიანი.

3. ამას გარდა საწყობში არის დიდძალი სასოფლო-სამეურნეო მანქანები მომავალ საგაზაფხულო და საზაფხულო სეზონისათვის:

კულტივატორები „პლანეტ" № 8 და № 17 ½, თივის საცელავები „მაკ-კორმიკ", ფოცხები „დირინგ" და „კრუპ", საცელავი მანქანები „მაკ-კორმიკ", „კრუპ" ძნების შესაკრელი „დირინგ" და „კრუპ", ბამბის სათესი ამერიკული, ავსტრიული ცელები „რედტენბახერის", სალესი აპარატები „მაკ-კორმიკ" და „კრუპ" და სხვ.

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო—მუზეუმის ქ. № 2 ტელეფ. №№ 15—77,81, 1—43.

ნ. 1717 3—3

გარე-უბნის სასამართლოს აღმასრულებ. კ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 22 სექტემბერს 1925 წ. საათის 11 პლეხანოვის პრ. № 96 საჯარო ვაჭრობით გაყიდის რ. ალამანიანცის მოძრავ ქონებას პარფიუმერიას: დუხებს, საპნებს და პუდრას, შეფასებულს 58 მან. დასაკმაყოფილებლად მ. ფოსკანოვისა 62 მან. 25 კაპ. ვაჭრობა დაიწყება შეფასებიდან. 1-1 2531

ხუთშაბათისათვის 22 | 9—25 წ. ს. პ. კ. ს. სატარიფო საეკონომიო განყოფილება იწვევს

სხდომას, ყველა კავშირების ც. გ. სატარიფო საეკონომიო განყოფილებების

გამგეებს

სამუალო ხელფასის საკითხზე მომავალ საბიუჯეტო წლისთვის აღნიშნულ საკითხის ყოველ მხრივ გამოსარკვევად, წარმოდგენილ უნდა იქნას საჭირო მასალები: კავშირის საშუალო სამუშაო ხელფასი, ფასი პირველ ხარისხისთვის წარმოებებში და საერთოდ კავშირში, აგრეთვე წარმოდგენილ უნდა იქნეს კავშირების აზრი იმ მეურნეობის დარგზე სადაც აქვთ წარმოებითი წინსვლელობა და სადაც არის შესაძლებელი მოემატოს სამუშაო ხელფასი კოლექტიურ ხელშეკრულებების გაახლების დროს.

ს. პ. კ. ს. სატ საეკონომიო განყ. გამგე—მაჩაიძე
მდივნის მაგიერ—ფეოდოროვი.

ნ. 1731—3—1

სწარმოებს ჩაწერა

მსმენელთა

ა. | კ. და საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის

მიერ დაარსებულ

საქმისწარმოების

საღამოს მოკლევადიან

კურსებზე

პარალელურად ლექციების კითხვით რუსულ და ქართულ ენებზე. მსმენელებათ ჩაირიცხებიან პირველ რიგში დაწესებულებებიდან მივლინებულნი. კურსებზე ჩაწერა წარმოებს ა. | წ. 26 სექტემბრამდე ა | კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციაში (გრიბოედოვის ქ. № 19 ოთახი 18) ჩაწერის დროს წარმოდგენილ უნდა იქნეს დაწესებულებების მივლინების დასტური და 20 მანეთი თითო მსმენელისაგან.

დამატებითი ცნობების მიღება შეიძლება იქვე.

2529—2—1 საადმინისტრაციო ტეხნიკის სექცია.

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დარსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ დაავადებული ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—15

წადვერი

მედიცინის დოქტორი ა. ა. მოსე

მოზრდილთა და ბავშვთა შინაგან ორგანოების და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობაში იღებს დილის 10—1 საათამდე ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით. საპუნოვის აგარაკ № 5 (კოოპერატივის მახლობლად).

1795 25—14

პროფესორი გ. მ. მუხაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

პლეხანოვის (ყოფ. მიხეილის) პროსპ. № 58. 13—1

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

25—20

ექიმი გ. მ. ფხალაძე

კანისა და ვენერიული სნეულებანი

(სიფილისი „606"—„914")

ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 7—8 საათ.—საღამოთი 7—9 საათ. ქალების—საღამოთი 6—7 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ).

ექ. ა. ე. უზლანერ

ვენერიულ, კანის და შინაგანი ავადმყოფობანი. ლორის-მელიქოვის ქ. 4 ბინ. 1. პუშკინის ბაღის პირდაპირ. მიღება: დილის 8—9 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე.

25—4

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ.

ქალებისთვის 12—1 საათ

ასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.

25—23

ექიმი ხოჯაპარუხოვი

კანის, ვენერიული და სიფილისის

ბებუთოვის ქუჩა № 29

მიღება: დილის 9—12 საათ. საღამოს 4—6 საათ.

2390 13—1

ექიმი გ. გ. მეგრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გულის და ტუბერკულიოზის, სპეციალური მკურნალობა მალარიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება ყოველ დღე დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

25—1

ექიმი

ალ. გ. მაღალაშვილი

ბავშვთა სნეულებანი.

იღებს 2—4 ს. 5—7 ს. საღამ. ყორღანოვის ქ. № 12. 25—4 2153

დაკარგა მატრიკული (სალექციო წიგნაკი) ეკონომიურ დარგისა სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, დავით ნიკოლოზის ძე მაჭავარიანის სახელზე. ჩ. გ.

2518 1—1

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი ედიკ მეგრაბიანცის სახელზე. ჩ. გ.

2517 1—1

დაკარგა მეტრიკული ამონაწერი დავით ივანეს ძე მთვარაძის სახელზე. ჩ. გ.

2526 1—1

დაკარგა პირადობის მოწმობა № 6720 და პირადი წიგნაკი ფორმა № 4 მიხეილ იაკობის ძე ბალანჩივაძის სახელზე. ჩ. გ.

2522 1—1

დაკარგა პირადობის მოწმობა № 676 სოლომონ ფუტკუშვილის სახელზე. ჩ. გ.

2523 1—1

დაკარგა პირადობის მოწმობა № 2014 ალექსანდრე ლობჟანიძის სახელზე. ჩ. გ.

2524 1—1

ექ. ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. დღე 1 2 ს. და საღამო 6—8 ს. ქალებს და ბავშვებს 5—6 ს. რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი კონსერვატორიის ქუჩიდან).

ექ. ნ. პ. ფალიაშვილი

დაბრუნდა და განაახლა მიღება ყოველგვარ მედიკურ ანალიზების შარდის, ნახველის, სისხლის და სხვა ვასერმანის რეაქცია (ათაშანგზე), ბეზრედკოსი (ქლეზე) და სხვა. გამოკვლევებს მიიღებს მთელი დღე, პირადად სალ. 5—7

ბელინსკის ქ. ბაქრაძის შესახვევი (ყოფ. აგურის) № 10. 2511 1—1

ექიმი ვ. ნ. ჩუპრინინი

ბავშვთა და შინაგანი სნეულებანი. ავადმყოფთა მიღება დილის 9 11-დე და საღამოს 4—6 საათამდე.

მისამართი: ჩერქეზიშვილის ქ. № 87. 13—1

ექიმი გ. ნ. მამაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 38.

25—22

დოქტორი ნევროპათოლოგიისა

სვიმონ ყიფშიძე

დაბრუნდა უცხოეთიდან და იწყებს ავადმყოფების მიღებას 14 სექტემბრიდან.

2423 25—1

ექიმი ი. დ. თოფურიძე

ალინინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისის და ვენერიული (შეუძლო და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

25—21

ექიმბაა შუხმან

განაახლა მიღება ვენერიულ სნეულებაში

საღამოს 6—8 საათამდე; ქალებს დღის 2—3 საათამდე. ელისაბედის ქ. № 89 (ქსენიევის ქუჩის პირდაპირ).

21—1

ექიმი მ. ა. ღუკო

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 7 საათიდან 8 საათამდე.

საპიერის ქუჩა № 35. ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.

25—4

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელ

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბონ-მონტი). ქარვა საქმიანი, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, [illegible] სქესობრივი სისუსტე), ტრიპერისა [illegible] ავადმყოფების მიღება დილის [illegible] საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

25—1

დაკარგა ა | კ. რკინის გზით სამოგზაურო მოწმობა № 1274 ნინო შალიბაშვილის სახელზე. ჩ. გ. 2521 1—1

დაკარგა პირადობის მოწმობა, აღრიცხვის ნუსხა, კავშირის წიგნაკი და რეგისტრაციის ფურცელი იოსებ ივანეს ძე ჯველენავას სახელზე. ჩ. გ.

2530 1—1

დაკარგა პირადი წიგნაკი № 41 [illegible] ზუგვავა და პროფკავშირის წიგნაკები [illegible] ტანი ბესარიონის ძე კარტოზიას სახელზე. ჩ. გ.

2530 1—1

დაკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტის სოც.-ეკონ. ფაკულტეტის მიერ გაცემული სალექციო წიგნაკი ბენიამინ გაგულაშვილის სახელზე. ჩ. გ.

2526 1—1

დაკარგა რკ. გზ. კავშირის საწევრო წიგნაკი № 413180 სიმონ გიორგის ძე ჯიბლაძის სახელზე. ჩ. გ.

2531 1—1

ტირაჟი—20.115

„ზარია ვოსტოკა"-ს სტამბა, სოლ. წულუკიძის ქ. № 4